

ყირგიზეთი ახალ პრეზიდენტს ირჩევს

A5



ქართველები რუსეთში

A6



საქართველოში ჯაზიც არაა პოლიტიკისგან თავისუფალი

A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 11 ივლისი, 2005 წელი. №155 (1015)

ფასი 50 თეთრი

## რევიუ

### საზოგადოებრივი მაუწყებლობა საზოგადოებისთვის



"მათ, ვისაც საზოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიოს შემდგომი ბედის საკითხის გადაწყვეტა მოუწევთ, იცოდნენ, რომ მათ უკან საზოგადოება დგას".

A7

## სპორტი

### „სილვერსტოუნმა" მშვიდობით ჩაიქროლა



გუშინ "სილვერსტოუნის" ტრასამ სამეფო რბოლების მსოფლიო ჩემპიონატის მეთერთმეტე ეტაპს "დიდი ბრიტანეთის დიდ პრიზს" უმასპინძლა.

A6

## რევიუ

### "შარდენ-ბარის" ტრადიცია



A8

## ამინდი

| | 11/07 | 12 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 35 |
| ტყიბული | 30 | 30 |
| სოხუმი | 31 | 29 |
| გორი | 28 | 28 |
| ონი | 25 | 23 |
| ზუგდიდი | 33 | 33 |
| ახმეტა | 34 | 34 |
| გაგრა | 30 | 27 |
| სამტრედია | 32 | 33 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.1675 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1623 |
| რუბლი | 0.0631 |

ამბები A 2
ამბები A 3
მონიტორინგი A 4
ამბები A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8

# ოცნებები და რეალობა

ნინო გომართელი

*ბათუმში გუშინ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. მასში საქართველოს ოფიციალურ პირებთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები მონაწილეობენ. საქართველოს პრეზიდენტმა დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ გააცნო ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივა და ამ გეგმას "ოსების ოცნებათა სია" უწოდა. თუმცა, კონფლიქტის მეორე მხარეს ამ ყველაფერს აღფრთოვანება არ გამოუწვევია - მათ კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და მას მხოლოდ "დასავლურ აუდიტორიაზე გათვლილი პიარკამპანია" უწოდეს.*

საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა, კიდევ ერთხელ გაახმიანა ის სამშვიდობო გეგმა, რომელიც მან იანვარში, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას წარმოადგინა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ეს არის "ოცნებათა სია", რადგან სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ყველა სურვილს ასახავს.

მანვე ისაუბრა იმ რამდენიმე ახალ ინიციატივაზე, რომელიც მხარეებს შორის ნდობის აღდგენას ისახავს მიზნად.

**„ჩვენ მზად ვართ, რეგულარულად გამოვყოთ 15-წუთიანი ეთერი საზოგადოებრივ არხზე, რათა სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს შეეძლოთ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება,"** - განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ თბილისს ასევე სურს რეგიონული მაუწყებლობის შექმნა, რომელსაც ორივე მხარის წარმომადგენლები უხელმძღვანელებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პაემანი ზუგდიდში

სოფო ბუკია

პირობითად ასე ერქვა სალომე ზურაბიშვილისა და მისი დედის, ქალბატონ ზეინაბ კედიას ორდღიან ოდისეას სამეგრელოში. **"აქ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ იმდენი რამ მსმენია სამეგრელოზე, რომ აქ ყველაფერი ძალიან ახლობელია ჩემთვის... თავი სიზმარში მგონია. მთელი ჩემი ოჯახი ოცნებობდა სამეგრელოზე და ეს ოცნება მე ამიხდა,"** – ამბობს ქალბატონი ზეინაბი, რომელსაც სწორედ ზუგდიდში ყოფნისას შეუსრულდა 84 წელი.

ზეინაბ კედიას მამამ, მექი კედიამ ზუსტად 84 წლის წინ დატოვა საქართველო და მას შემდეგ არ დაბრუნებულა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შორეული ნათესავები ზუგდიდში დღესაც ცხოვრობენ. ქალბატონი ზეინაბის ნათესავი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი თავმჯდომარე სპირიდონ კედიაც, რომელიც ემიგრაციაში გარდაიცვალა და პარიზში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზეა დაკრძალული.



სოფო ბუკიას ფოტო

სალომე ზურაბიშვილმა, ქალბატონმა ზეინაბ კედიამ და ჭანრი კაშიამ სპირიდონ კედიას ძეგლთან ყვავილები მიიტანეს.

სამეგრელო ქართველ ფრანგებს მზიანი ამინდით შეხვდა. ორგანიზაცია "კავკასიური სახლი – კულტურათა გზაჯვარედინზე" და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის აპარატისა და ზუგდიდის გამგეობის ორგანიზებით შემდგარი ვიზიტის დღის წესრიგი მეტად დატვირთული გამოდგა.

მოგზაურობა ცაიშის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან დაიწყო. ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა, მეუფე გერასიმემ მეთორმეტე საუკუნის ულამაზეს ეკლესიაში ქართველი ემიგრანტების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლონდონში ტერაქტების მსხვერპლთ გლოვობენ

ხათუნა გაბიევი

ლონდონის მეტროსა და ავტობუსის სადგურზე განხორციელებული ტერაქტების სერიის შედეგად დაღუპულთა მოსახსენებელი მესა კვირას დიდი ბრიტანეთის მასშტაბით ჩატარდა.

**"ხუთშაბათს განვითარებული მოვლენები ღვთის წინაშე ჩადენილი უდიდესი ცოდვაა, რომელიც ყველაფერ ადამიანურს უპირისპირდება,"** - აღნიშნა ლონდონის ეპისკოპოსმა წმინდა მარტინის ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს.

რომის პაპმა ბენედიქტე XVI-მ კი სიტყვით მიმართა ტერაქტის ორგანიზატორებს: **"მათ, ვინც მოუწოდებს სიძულვილისაკენ და მათ, ვინც ახორციელებს ასეთ შემზარავ ტერორისტულ აქტებს, ვეუბნები: უფალს უყვარს სიცოცხლე, რომელიც შექმნა მან და არა სიკვდილი. შეჩერდით, ღვთის გულისათვის!"**

გაგრძელება A5 გვერდზე





კვირას დიდ ბრიტანეთში ტერაქტების შედეგად დაღუპულთა მოსახსენებელი მესა ჩატარდა.

# კონფერენცია, რომელსაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა

*თუკი ქართული ოპოზიციური სპექტრის ერთი ნაწილი საკმაოდ დადებითად აფასებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხზე ბათუმში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობას, მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება სახელმწიფო ღალატის ტოლფასია.*

თამარ ასათიანი

როგორც გაირკვა, საქართველოს ხელისუფლებამ ბათუმში პოლიტიკური ოპონენტების მიწვევა საჭიროდ არ მიიჩნია. ხელისუფლების წარმომადგენელებს არ დაუკონკრეტებიათ, რატომ აუარეს გვერდი ოპოზიციონერებს, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება.

ამის მიუხედავად, ოპოზიციონერების ნაწილი კონფერენციის გამართვის ფაქტს მაინც დადებითად აფასებს. მაგალითად, "ახალი მემარჯვენე" კოკა გუნცაძე აცხადებს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობა აღდგეს. **"ამის გარეშე არანაირ სამშვიდობო ინიციატივებს აზრი არ აქვს,"** - აცხადებს გუნცაძე. ამავე დროს, მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როდესაც გასული წლის ზაფხულში კონფლიქტის რეგიონში სამხედრო ოპერაცია განახორციელა. **"ჩვენ არ ვამბობთ, რომ კრიმინალებს არ უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ იმ დროს მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდა და ახლა საჭიროა, ქართულმა მხარემ ყველაფერი გააკეთოს, რათა დიალოგი და ნდობა აღდგეს,"** - განუცხადა "24 საათს" გუნცაძემ.

სამშვიდობო მოლაპარაკებების ულტერნატივობაზე "რესპუბლიკელებიც" საუბრობენ. კონფერენციას ესწრებიან თინა ხიდაშელი და პარლამენტარი დავით ბერძენიშვილი. თუმცა, გუშინ ბერძენიშვილი კონფერენციის მუშაობას ჟურნალისტებისთვის გამოყოფილი სპეციალური ადგილიდან ადევნებდა თვალს. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ბერძენიშვილი ამ ღონისძიებაზე მიწვეული არ ყოფილა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აფხაზეთში რუსული ფიჭური კომპანიების გამოჩენას ელიან

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

ფიჭური კავშირგაბმულობის ერთადერთი ოპერატორი აფხაზეთში, კომპანია "აკვაფონი", კონკურენტების მოლოდინში, მომსახურებაზე ტარიფებს მნიშვნელოვნად ამცირებს

პირველი ივლისიდან მკვეთრად შემცირდა ქსელში ჩართვის საფასური. "ფასების ტოტალურ გაიაფებას", რეკლამის თანახმად, კომპანიის მენეჯმენტი ახალი აბონენტების მოზიდვის მცდელობით ხსნის. თუმცა, სავარაუდოდ, ფასების ტოტალურად გაიაფებას სხვა მიზეზებიც აქვს. აბონენტები აფხაზეთის ბაზარზე ახალი ადგილობრივი ან რუსული ფიჭური კავშირის ოპერატორის გამოჩენის მოლოდინში არიან, რომელიც გაცილებით დაბალ ტარიფებს შესთავაზებს, ვიდრე კომპანია "აკვაფონი".

აფხაზეთის ბაზრის შეზღუდულობისა და მოსახლეობის მწირი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, კონკურენციამ, შესაძლოა, პირველი ოპერატორის კრიზისი გამოიწვიოს. ცხადია, რომ ფიჭური კავშირის ოპერატორის, რუსული გიგანტი კომპანიის - "ემ ტე ეს"-ის აფხაზეთის ბაზარზე გამოჩენა, რომლის თაობაზეც უკვე განაცხადეს მთავრობაში, მობილურ კავშირზე დაწესებული ფასების მკვეთრ დაცემას გამოიწვევს. შესაძლოა, სწორედ ამან გამოიწვია მობილური კავშირის ოპერატორის ქსელში ჩართვაზე ფასების 40-პროცენტიანი გაიაფება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ომბუდსმენი ფინანსურ პოლიციას კახეთში საქმეებს უქექავს

*ფინანსური პოლიციის კახეთის რეგიონული სამსახურის ყოფილი უფროსის ზურაბ ბეჟანიშვილის მიმართ კახეთის საოლქო პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე იმ მიზეზის გამო უნდა აღეძრა, რომ მან და მისმა თანამშრომლებმა შარშან, ნოემბრის თვეში, უკანონოდ იმოქმედეს. ზაქრო გუგუნაშვილსა და ალექსანდრე ჩიტიაშვილს, რომლებმაც დიზელის საწვავი ლაგოდეხის რაიონში შეიძინეს, ტვირთი ფინანსურმა პოლიციამ ჩამოართვა. ამჟამად დადგინდა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით არ შემდგარა შესაბამისი დოკუმენტაცია და არსებობს მხოლოდ ერთი ოქმი, რომლიდანაც ირკვევა, რომ მოქალაქე გუგუნაშვილისადმი ჩამორთმეული საწვავი არ დალუქულა. რამდენიმე დღეში ჩამორთმეული საწვავი საერთოდ გაქრა.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

მომხდართან დაკავშირებით რეგიონის სამართალდამცველები მას შემდეგ აფორიაქდნენ, რაც საქმეში საქართველოს სახალხო დამცველი ჩაერია. მანამდე კი, გარდაბნის რაიონის სოფელ საცხენისის მკვიდრმა ზაქრო გუგუნაშვილმა სიმართლის გასარკვევად კახეთის საოლქო პროკურატურს მიმართა, მაგრამ აღნიშნული უწყება, როგორც გუგუნაშვილი ამბობს, მის წერილობით ჩვენებებს არაფრად აგდებდა.

**„იმ დროს, როდესაც საწვავით დატვირთული მანქანა ჩამომართვეს, ფინანსური პოლიციის უფროსს ზურაბ ბეჟანიშვილს ვეუბნებოდი, თუ დამნაშავე ვარ, ყველაფერი სასამართლოს ჩარევით მოხდეს-თქო, მაგრამ მან ეს არ ისურვა. ასე მეუბნებოდა, ჩემი საქმეა, რას ვიზამ და რას გავაკეთებო. ამის შემდეგ მანქანაც და საწვავიც წაიღეს,"** - ამბობს დაზარალებული ზაქრო გუგუნაშვილი.

ირკვევა, რომ საოლქო პროკურატურა არც მარტყოფელი ალექსანდრე ჩიტიაშვილის საქმით ინტერესდებოდა. ფინანსურმა პოლიციამ მას ათი ტონა საწვავი ჩამოართვა. **„ასე მითხრეს, შენი საწვავი უსაბუთოა, თანაც კონტრაბანდააო. კი, მაგრამ, როგორ შეიძლება ყოფილიყო საწვავი კონტრაბანდული, როცა ლაგოდეხში შევიძინე. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ჯარიმის - 3 ათასი ლარის გადახდა მეკუთვნოდა.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობა 409 იურისტს სურს

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გუშინ დაასრულა იმ იურისტების განცხადებების მიღება, რომელთაც პროკურატურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდაში სურთ მონაწილეობის მიღება.

როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნმა ვალერი ცერცვაძემ აღნიშნა, შესაბამისი საბუთები საბჭოში შექმნილ სპეციალურ კომისიაში 409 იურისტმა შეიტანა.

პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა 16 ივლისს გაიმართება.

**"ტესტირება იქნება ისეთივე მკაცრი, როგორიც ივნისში ჩატარებული მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა იყო,"** - აღნიშნა ცერცვაძემ.

პროკურორობის მსურველებს 100 კითხვიანი ტესტის ამოხსნა მოუწევთ. გამსვლელ ქულად 85 სწორი პასუხი ჩაითვლება.

1000 ტესტური კითხვა, საიდანაც გამოცდისთვის შეირჩევა ტესტები, ორი კვირის წინათ გამოქვეყნდა, თუმცა, წინა, ანალოგიურ გამოცემებისაგან განსხვავებით, მას პასუხები არ ახლავს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## თბილისის საქალაქო სასამართლოს ვაკანსიებზე კონკურსი კიდევ ერთხელ გამოცხადდება

თბილისის საქალაქო სასამართლომ 210 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი ჩაატარა, თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ვალერი ცერცვაძის თქმით, მიღებული შედეგი არასახარბიელოა.

**"კუნკურსში მონაწილეებს, სამწუხაროდ, ცოდნის შესაფერისი დონე არ გააჩნდათ,"** - აღნიშნა იუსტიციის საბჭოს მდივანმა.

მოსამართლის თანაშემწეების, სხდომის მდივნებისა და სასამართლოში მომუშავე სხვა თანამშრომლების კონკურსის შედეგად ვაკანტური თანამდებობის მხოლოდ ნახევარი დაკომპლექტდა. კონკურსში 300-მდე ადამიანი მონაწილეობდა, რომელთა ერთი ნაწილი მოქმედი თანამშრომელი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს კონკურსის ორგანიზებაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაეხმარა. უახლეს მომავალში დარჩენილ ვაკანსიებზე კიდევ ერთი კონკურსი გამოცხადდება

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სახალხო დამცველის აპარატი ჯარში რეგულარულ მონიტორინგს ვერ ახორციელებს

ქართულ ჯარში რეგულარული მონიტორინგი ფაქტობრივად არ ხორციელდება.

სტატისტიკური მონაცემებით, 2005 წლის მაისსა და ივნისში ჯარისკაცთა სიკვდილიანობის ხუთი შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის ერთი ფილტვების დაავადებით გარდაიცვალა, ხოლო ოთხმა რიგითმა გაურკვეველ ვითარებაში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

სახალხო დამცველის აპარატში საჯარისო ნაწილების გასაკონტროლებლად შექმნილი 25-კაციანი ჯგუფი მოქმედებს, თუმცა ეს ჯგუფი მხოლოდ სპეციალური შეტყობინების საფუძველზე ახდენს რეაგირებას.

**"უკანასკნელ პერიოდში ქართულ ჯარში სიკვდილიანობის რიცხვმა მოიმატა. სახალხო დამცველის აპარატი რეგულარულ მონიტორინგს ვერ ახორციელებს, თუმცა მკაცრ რეაგირებას ახდენს შემოსულ შეტყობინებებზე,"** - აცხადებს სახალხო დამცველის მოადგილე ბაჩო ახალაია.

*მედიანიუსი*

## გალში ავტობუსები დააყაჩაღეს

შაბათს გალის რაიონის ეგრეთ წოდებული დაბალი ზონის სოფელ სიდაში სამი სამგზავრო ავტობუსი დააყაჩაღეს.

თავდასხმა გამთენიისას მოხდა. ავტობუსის მგზავრები გალის რაიონის სოფლებიდან - სიდადან, ბარღებიდან გალის მიმართულებით მოემგზავრებოდნენ.

თვითმხილველთა თქმით, ნიღბიანი თავდამსხმელები დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში ჰაერში უმისამართოდ ისროდნენ, შემდეგ მათ მგზავრები გაძარცვეს. წაართვეს ფული და ის ნივთები, რომლებიც ზუგდიდში გასაყიდად მიჰქონდათ.

შემთხვევა მოხდა რუსეთის სამშვიდობო ძალების ერთ-ერთი პოსტიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით, თუმცა სამშვიდობოებს ყაჩაღობის აღსაკვეთად არანაირი ზომები არ მიუღიათ.

როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის შინაგან საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლები აცხადებენ, გალის რაიონში ძირითადად ქართველებისგან შემდგარი კრიმინალური ბანდები მოქმედებენ, რომელთაც დანაშაულებრივ საქმიანობაში აფხაზური მხარე უწყობს ხელს.

აღნიშნულ ყაჩაღობის ფაქტს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების შს გალის რაიონული განყოფილება იძიებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ადვოკატი პატიმრისთვის ნარკოტიკის შეგზავნის ფაქტზე დააკავეს

არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის" წევრი, ადვოკატი, 27 წლის როინ თავდგირიძე, ბათუმის N3 საპყრობილეში შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა პატიმრისთვის ნარკოტიკის გადაცემის მცდელობისას დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თავდგირიძისაგან ამოღებულია 0.075 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსი", რომლის გადაცემასაც იგი N3 საპყრობილეში მყოფ ყაჩაღობაში ბრალდებულ ჯუმბერ თავდგირიძისათვის აპირებდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## გატაცებული ავტომანქანის დაბრუნებისთვის პოლიციელმა მოქალაქეს ფული გამოსძალა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ნოშრევან უცუნაშვილი გენერალურმა ინპექციამ გამოძალვის ფაქტზე დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, უცუნაშვილმა ერთ-ერთ მოქალაქეს გატაცებული ავტომანქანის დაბრუნების სანაცვლოდ 3 800 აშშ დოლარი გამოსძალა.

გენერალურმა ინსპექციამ კიდევ ერთი პოლიციელი, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს უბნის ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი გიორგი ჭოტაშვილი ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსის" გასაღების ბრალდებით დააკავა.

გენერალური ინსპექციის მონაცემებით, ჭოტაშვილს ნახევარი აბი სუბოტექსი აღმოაჩნდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# აფხაზეთში რუსული ფიჭური კომპანიების გამოჩენას ელიან

პირველი გვერდიდან

თუმცა, ახალი, გაიაფებული ფასების მიუხედავად, ეს მომსახურება მოსახლეობის უმეტესობისათვის მაინც ძვირია. ამჟამად ქსელში ჩართვა 28-დან 40 დოლარამდე ჯდება. მომსახურებაზე ტარიფები კი თითქმის იგივე დარჩა. ყველაზე იაფი ქსელში შემავალი ზარებია, წუთი - 10 ცენტი. საქალაქო სატალეფონო ქსელში დარეკვისთვის კი აბონენტი წუთში 17-18 ცენტს იხდის.

"აკვაფონის" საქმიანობის სიახლე შეეხო არა მხოლოდ ტარიფებს, არამედ აბონენტთა მომსახურების გაუმჯობესებასაც. სოხუმის ცენტრში, მშვიდობის გამზირზე, კომპანიის მთავარი სერვის-ცენტრი გაიხსნა.

უნდა ითქვას, რომ ბევრი სპეციალისტი განსაკუთრებული ოპტიმიზმის გარეშე უყურებს აფხაზეთში ფიჭური კავშირის ბაზარზე კონკურენციის პერსპექტივას. მათი აზრით, თავად ამ ბაზრის მოცულობა მომსახურებაზე ფასების მკვეთრად შემცირების საშუალებას არ იძლევა. დღეისთვის მისი მაქსიმალური მოცულობა, ეკონომიკური ზრდის ტემპების გათვალისწინებითაც კი, 50 ათას აბონენტს არ აღემატება. ფასების დაწევისთვის კი ოპერატორებს ბაზრის უფრო მეტი შესაძლებლობები სჭირდებათ. ამას გარდა, არ გამორიცხავენ, რომ პირველი ოპერატორი კორპორაციულ ხელშეკრულებას დადებს ნებისმიერთან, ვინც ამ ბაზარზე გამოჩნდება, რათა თავიდან აიცილოს კონფლიქტური სიტუაციები. ამ ხელშეკრულებაში, რაღა თქმა უნდა, შეთანხმებული სატარიფო პოლიტიკა იქნება ჩადებული.



ახლა "აკვაფონს" ოქროს სეზონი უდგას.

ახლა კი "აკვაფონს" ოქროს სეზონი უდგას. რუსეთის ფიჭური კავშირის წამყვან ოპერატორებთან დადებული როუმინგული ხელშეკრულებების წყალობით, კომპანია აფხაზეთში დასასვენებლად ჩასულ რუს ტურისტებსაც ემსახურება.

# ომბუდსმენი ფინანსურ პოლიციას კახეთში საქმეებს უქექავს

პირველი გვერდიდან

**ის კი არა და, ბეჟანიშვილს შევთავაზე, საწვავი შუაზე გაგვეყო, მან კი ასე მითხრა, სულ ჩემიაო. ეს უწყება ფინანსური პოლიცია კი არა, ყაჩაღების სამსახურია,"** - ამბობს ალექსანდრე ჩიტიაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ფინანსურმა პოლიციამ დიზელის საწვავი გუგუნაშვილს ლაგოდეხის რაიონში ჩამოართვა, ხოლო ჩიტიაშვილს გურჯაანში. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით არ შემდგარა შესაბამისი დოკუმენტაცია და არსებობს მხოლოდ ერთი ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ მოქალაქე გუგუნაშვილისადმი ჩამორთმეული საწვავი არ დალუქულა. რამდენიმე დღეში კი საწვავი გაქრა. თელავის პოლიციის სამმართველოს უფროსისა და მისი თანამშრომლების განმარტებით, საწვავის ნაწილი ფინანსურმა პოლიციამ წაიღო, ნაწილი კი დაიღვარა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქვეყნის შიგნით ტერიტორიებზე საწვავის დაკუმენტაციის გარეშე ტრანსპორტირებისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა, რომელიც კანონდამრღვევს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად ეკისრება. სახალხოს დამცველის აპარატის მიერ მოკვლეული მასალებიდან კი ირკვევა, რომ სასამართლოში აღნიშნული საქმე არ შესულა და შესაბამისად, ფინანსურ პოლიციას საწვავის ჩამორთმევის უფლებაც არ ჰქონდა.

სახალხო დამცველის აპარატმა მოძიებული მასალების საფუძველზე რეკომენდაციით მიმართა კახეთის სამხარეო პროკურორს თამაზ ცაბუტაშვილს და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. როგორც ოლქის პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი აცხადებს, ამ დროისთვის მიმდინარეობს გამოძიება. **„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის საწვავი, რომელიც ფინანსურმა პოლიციამ დააკავა, კონტრაბანდული იყო და იგი სამხედრო ნაწილს გადაეცა. ამის ოფიციალური დიკუმენტი თავდაცვის სამინისტროშია. ამ დროისთვის მიმდინარეობს გამოძიება და ყველაფერი დეტალურად გაირკვევა,"** - აცხადებს თამაზ ცაბუტაშვილი.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის თანამდებობიდან გათავისუფლებულია ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის II განყოფილების უფროსი ზურაბ ბეჟანიშვილი. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, მას მალე კონსტიტუციური უსაფრთხოების კახეთის რეგიონული სამსახურის უფროსად დანიშნავენ.

# თუ „თბილგაზმა" დაგჩაგრათ

*"თბილგაზის" აბონენტებს ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი პრობლემები შეექმნათ. გახშირდა შემთხვევები, როდესაც რამდენიმე აბონენტის მიერ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, "თბილგაზი" ბუნებრივ აირს მთელ კორპუსს უთიშავს. გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდნენ ის პირებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ მინიჭებული შეღავათებით სარგებლობდნენ. საქმე ის არის, რომ მათთვის გაცემულ ვაუჩერებს ინკასატორები არ აფიქსირებდნენ, რაც აბონენტის დავალიანების დაგროვებას იწვევდა. თუკი თქვენ პრობლემები გექმნებათ "თბილგაზის" წარმომადგენელთან, გახსოვდეთ, რომ თქვენი უფლებები კანონით არის დაცული.*

თამარ დვალი

ოქროპირიძეების ოჯახს ზაფხულის დადგომამდე "თბილგაზთან" არანაირი პრობლემა არ ჰქონია. მას შემდეგ, რაც მათმა მრიცხველმა, ზამთართან შედარებით, ბუნებრივი აირის ნაკლები რაოდენობა დააფიქსირა, ინკასატორმა ისინი "საეჭვო აბონენტებად" მიიჩნია და შესაბამის სამსახურს მათთვის ბუნებრივი აირის ჩაჭრა მოსთხოვა.

**"ზაფხულის დადგომასთან ერთად, სულ უფრო ნაკლებ გაზს მოვიხმართ და, მე მგონი, ეს ფაქტი დიდ გაოცებას არც უნდა იწვევდეს. ინკასატორმა თავად ნახა, რომ მრიცხველს ლუქი დაუზიანებელი ჰქონდა, თუმცა საჩივარი მაინც დაწერა. რამდენიმე დღის შემდეგ, გაზის სამმართველოდან მოვიდნენ და ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე, გაზს გვითიშავდნენ, ხოლო მრიცხველი შესამოწმებლად მიჰქონდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთი კვირის განმავლობაში ბუნებრივი აირის გარეშე უნდა დავრჩენილიყავით. ჩვენი გაოცება იმანაც გამოიწვია, რომ მრიცხველის ლაბორატორიაში წაღების თანხა ჩვენ უნდა გადაგვეხადა. იმისათვის, რომ გაზი არ ჩაეჭრათ, შესაბამის სტრუქტურებში სიარული და ვითარების გარკვევა თავად მომიწია,"** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ერთ-ერთმა აბონენტმა, რომელსაც თავისი სიმართლის დასამტკიცებლად დიდი დრო და ენერგია დასჭირდა.

როგორც მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის უფროსმა დავით ებრალიძემ განაცხადა, არავის აქვს უფლება, მომხმარებელს მრიცხველის შესამოწმებლად თანხის გადახდა აიძულოს.

**"მომხმარებელი არ არის ვალდებული, სიმართლის გასარკვევად თავად იაროს. მართალია, "თბილგაზის" წარმომადგენელს უფლება აქვს, ეჭვი შეიტანოს მრიცხველის გაუმართაობაში, თუმცა დაუსაბუთებლად მას აბონენტისთვის გაზის ჩაჭრის უფლება არ აქვს. რაც შეეხება მრიცხველის შემოწმებას, მომხმარებელმა ფული არ უნდა გადაიხადოს. თუკი აღმოჩნდება, რომ დაზიანებულია მრიცხველი, მხოლოდ ამის შემდეგ არის აბონენტი ვალდებული, მრიცხველის ფული დაფაროს,"** – აღნიშნა ებრალიძემ. მისივე თქმით, ყველაზე არსებითი დარღვევა, რის გამოც აბონენტები მათ ხშირად მიმართავენ, გაზის არაკანონიერი გათიშვაა. უმეტეს შემთხვევაში, იმის გამო, რომ ერთ კორპუსში რამდენიმე აბონენტი გადასახადს არ იხდის, ბუნებრივ აირს მთელ კორპუსს უთიშავენ, რისი უფლებაც "თბილგაზს" არა აქვს. **"ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობამ პრინციპულად უნდა მოითხოვოს მათი უფლებების დაცვა. თუკი თქვენ კარგი გადამხდელი ხართ და სხვის გამო გითიშავენ გაზს, ეს თქვენი უფლებების უხეში დარღვევაა. არსებობს ზოგადი წესები, სადაც მომხმარებლის უფლებები კარგად არის გაწერილი,"** – განაცხადა ებრალიძემ.

მოკლედ

## ბენზინის ფასი, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს

ბოლო სამი კვირის განმავლობაში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის ფასები 5-10 თეთრით კიდევ გაიზარდა. როგორც ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდა საქართველოში ნავთობპროდუქტების ფასებზე პირდაპირ გავლენას ახდენს, რადგან ქვეყანა 100 პროცენტით იმპორტირებულ პროდუქციაზეა დამოკიდებული.

ბენზინგასამართი სადგურები, რომლებიც ევროპულ საწვავზე მუშაობენ, 1 ლიტრ რეგულარული ტიპის ბენზინს უკვე 1,30 ლარად ყიდიან. ხოლო აზერბაიჯანული ბენზინი 1,15-1,20 ლარად იყიდება. მთვრალაშვილის განცხადებით, თუ საერთაშორისო ბაზარზე დღეისათვის დაფიქსირებული ფასები შენარჩუნდება, ფასები საქართველოში აღარ გაიზრდება. თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, ფასების ზრდა მსოფლიოში წლის ბოლომდე გაგრძელდება და ერთ ბარელზე 70 დოლარს მიაღწევს.

*24 საათი*

## რეგიონებში კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი მაღალია

გუშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე გორში, ქუთაისში, ფოთში და ბათუმში ეროვნული ბანკის ფილიალებს ესტუმრა. ის ადგილზე გაეცნო ფილიალებში არსებულ პრობლემებს. შეხვედრებზე ითქვა, რომ რეგიონებში კომერციული ბანკების საქმიანობა არ არის გამართული, კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი კი თბილისზე მაღალია. ბანკებს, ასევე, კომუნიკაციების პრობლემა აქვთ. ვერ ხერხდება ბანკომატების დაყენება, რადგან ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე რეგიონებში ვიზიტს ისევ გეგმავს. მალე ის ეროვნული ბანკის ზუგდიდის, გურჯაანისა და ახალციხის ფილიალებსაც მოინახულებს.

*მედიანიუსი*

## ICAO-ს ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის რეგიონული ბიუროს დირექტორი თბილისშია

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის გიორგი მჟავანაძის მოწვევით, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის რეგიონული ბიუროს დირექტორი კასტენ ტაილი ეწვია. აღსანიშნავია, რომ კასტენ ტაილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან პირველად საქართველოს ეწვია. კასტენ ტაილი და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში სახელმწიფოებისა და ICAO-ს როლის შესახებ იმსჯელებენ. განიხილება კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ICAO-ს სრულუფლებიანი წევრია, თუმცა, დავალიანების გამო, ორგანიზაციაში ხმის უფლება ჩამორთმეული აქვს. ქართული მხარის დავალიანება 410 672 დოლარს შეადგენს, რომლის გასტუმრებაც 2006 წლიდან დაიწყება.

*24 საათი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "საქართველოს მთავრობის და პრეზიდენტის ინიციატივა, კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებასთან დაკავშირებით, მისასალმებელია. პოსტულატები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტმა წარმოადგინა, მისაღებია და ეუთო მას მხარს უჭერს," - განაცხადა ეუთოს წარმომადგენელმა საქართველოში როი რივმა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია კონფლიქტის დარეგულირებაში, სხვა საკითხებთან ერთად, განისაზღვროს მედიის როლი. ჩვენ ვაპირებთ, ერთობლივად ტრენინგები ჩავუტაროთ ქართველ და ოს ჟურნალისტებს, რათა მათ მიიღონ ინფორმაცია, თუ როგორ უნდა გაშუქდეს სხვადასხვა კონფლიქტები.

ეუთოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ ჟურნალისტები ხანდახან ხელოვნურად წარმოშობენ კრიზისს. მისი განცხადებით, აუცილებელია ჟურნალისტების დონის ამაღლება. "ჩვენ ამაში ქართველ და ოს ჟურნალისტებს დავეხმარებით," - აღნიშნა როი რივმა.

*ინტერპრესნიუსი*

■ ■ ■

**თბილისი.** "მემარჯვენე ოპოზიციისა" და "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" ლიდერები დავით გამყრელიძე და კობა დავითაშვილი 18 ივლისს აშშ-ში, საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის ლიდერების შეკრებაზე გაემგზავრებიან.

როგორც "კონსერვატიულ პარტიაში" განაცხადეს, საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის ფორუმზე, რომელშიც მემარჯვენე იდეოლოგიის პარტიები არიან გაერთიანებულნი, საქართველოდან მხოლოდ ორი პოლიტიკური გაერთიანებაა მიწვეული.

საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის ფორუმზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ახალი დემოკრატიის განვითარების საკითხები განიხილება. "კონსერვატიული პარტიის" ლიდერი ფორუმზე საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაკეთებას აპირებს.

*ინტერპრესნიუსი*

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი შვებულებას ქვეყნის რომელიმე კურორტზე ან ჰოლანდიაში გაატარებს.

როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა განაცხადა, ჯერჯერობით უცნობია, როდის გავა პრეზიდენტი შვებულებაში.

"ყველაფერი გარემოებაზეა დამოკიდებული და ამიტომაც, ვერ გეტყვით, როდის გავა პრეზიდენტი შვებულებაში. თავად პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის შვებულებას ჰოლანდიაში ან რომელიმე ქართულ კურორტზე გაატარებს. პრეზიდენტს, ისე როგორც ყველა საჯარო მოხელეს, 24-დღიანი შვებულება ეკუთვნის", - განაცხადა გელა ჩარკვიანმა.

*მედიანიუსი*

■ ■ ■

**თბილისი.** "თელასის" მოვალე 1135 საბიუჯეტო ორგანიზაციას დენის დავალიანების დაფარვის ვადა დღეს ამოეწურა. როგორც "თელასში" განაცხადეს, ელექტრომომარაგების შესაძლო შეწყვეტის შესახებ გაფრთხილება საბიუჯეტო ორგანიზაციებს წინასწარ გაეგზავნათ. "თელასი" აცხადებს, რომ თუ მოვალეები დავალიანებას არ დაფარავენ, მათ ელექტრომომარაგება შეუწყდებათ.

დასასჯელ უწყებათა ნუსხაში მოხვდნენ: პრეზიდენტის ადმინისტრაცია, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, ენერგეტიკის, კულტურის და განათლების სამინისტროები, სააღსრულებლო და საზღვრის დაცვის დეპარტამენტები, საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ცენტრალური არქივი და სხვა.

*24 საათი*

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან ახალი აეროპორტის მშენებლობა იწყება. როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დირექტორმა ნიკოლოზ მანჯგალაძემ განაცხადა, სამშენებლო სამუშაოებს თურქული კომპანია "ჩელების" მიერ დაქირავებული კომპანია "ერენპორტი" განახორციელებს. როგორც მანჯგალაძე ამბობს, აეროპორტის მშენებლობას კომპანია "ჩელები" წარმართავს, რომელსაც თავდაპირველად მხოლოდ აეროპორტის ოპერირება ევალებოდა. კონსორციუმი, რომელშიც "ჩელების" გარდა, კიდევ ორი კომპანია - ბელგიური "ჯი თი ეს" და ამერიკული "ეი ენდ ჯეი" შედიოდნენ, დაიშალა. მათ, შესაბამისად, აეროპორტის მშენებლობა და ფინანსირება უნდა უზრუნველეყოთ. მანჯგალაძის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ კონსორციუმი ვერ შედგა, მშენებლობის პირობები არ დარღვეულა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# პაემანი ზუგდიდში

პირველი გვერდიდან

დადიანების სასახლის მონახულების შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა, ქალბატონმა ზეინაბ კედიამ და ჯანრი კაშიამ სპირიდონ კედიას ძეგლთან ყვავილები მიიტანეს და ზუგდიდის თეატრში კონცერტს დაესწრნენ. **"ძალიან დიდ განცდებში ვარ. სამეგრელოში არაჩვეულებრივად შეგვხვდნენ და მეც და დედაჩემმაც ძალიან დიდი სითბო ვიგრძენით,"** – აღნიშნავდა ქალბატონი სალომე.

სტუმრებმა წინაპრების საფლავთან ყვავილები მიიტანეს და კორცხელის ეკლესიას ესტუმრნენ უმშვენიერეს ადგილას, სადაც ზუგდიდი-ცაიშის ეპისკოპოსის რეზიდენციაა და საიდანაც თვალის გადასაწვდენზე აფხაზეთი მოსჩანს. მეუფე გერასიმე ამბობს, ულრუბლო ამინდში ზღვასაც ვხედავო.

კორცხელის ეკლესია ზუგდიდში მოგზაურობის ბოლო პუნქტი უნდა ყოფილიყო, თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრის ესკორტი სხვა მიმართულებით წავიდა და ჩვენ ენგურის ხიდთან აღმოვჩნდით.

ენგურთან უჩვეულო სიმშვიდე და აუტანელი სიცხე იდგა. მხოლოდ სამი ქალბატონი ამოფარებოდა ერთადერთი ხის ჩრდილს. როგორც მათ გვითხრეს, გალიდან ნათესავებს ელოდებოდნენ

ქალბატონმა სალომემ ჟურნალისტებს მარშრუტის შეცვლის მიზეზი ასე აუხსნა : **"აქ ვარ, ზუგდიდში, და ისე ვერ წავიდოდი, რომ ეს ხიდი არ მენახა. აქ პირველად ვარ. ჩემთვის, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრისთვის, ეს საზღვარი არ არის. ჩემთვის საზღვარი ფსოუზეა, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია. აუცილებლად უნდა გადამეხედა აქედან... სანამ იქით გადავალთ, ჯერ უნდა გადავხედოთ. მინდოდა, ჩემი თვალით მენახა ეს ადგილი და აქ ფეხი დამედგა. ეს ყველაზე ახლოა, სადამდეც შემიძლია მივიდე აფხაზეთთან..."** – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

აფხაზეთთან თხუთმეტწუთიანი სიახლოვის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის ესკორტმა გეზი ფოთისკენ აიღო.

ფოთი სალომე ზურაბიშვილის კიდევ ერთი წინაპრის ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება და ამიტომ, როგორც მინისტრი ამბობს, მისთვის ეს ქალაქი განსაკუთრებით ძვირფასია.

ნიკო ნიკოლაძის ძეგლისა და კოშკის მონახულების შემდეგ, სტუმრებმა ფოთის აკვატორიაში გაისეირნეს და საზეიმო კონცერტიც ნახეს. როგორც შევიტყვეთ, სამეგრელოში მოგზაურობის შემდეგ ქალბატონ ზეინაბ კედიას ქალიშვილისა და სიძისთვის ერთი თხოვნით მიუმართავს: ერთი პატარა ქოხი მიყიდეთო ზუგდიდში...

# აჭარული „დაუმორჩილებლობა" თბილისურს გადააჭარბებს

პირველი გვერდიდან



ბათუმში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა.

საქართველოს ხელისუფლება მზად არის, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ის საპენსიო დავალიანება გადაუხადოს, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა, და **„ჩვენ ამის ფინანსური რესურსი გაგვაჩნია."** სააკაშვილის თქმით, აღნიშნული თანხები, შესაძლებელია, უკვე 2006–2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტში აისახოს.

პრეზიდენტი მკაცრიც იყო - მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტების ზონაში დღეს არსებულ მდგომარეობას ვერ შეეგუება.

**"დაუყოვნებლივ გვსურს დიალოგის აღდგენა. ყველას უნდა ესმოდეს, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის გარკვეულ კომპრომისებზე წასასვლელად, თუმცა ჩვენთვის მიუღებელია სრული დამოუკიდებლობის მინიჭება და ამას ჩვენ არ დავუშვებთ,"** - აღნიშნა მან და დაამატა, რომ დღეს საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელსაც გააჩნია მანდატი მკვეთრი ნაბიჯების გადასადგმელად.

სააკაშვილმა ასევე დასძინა, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებაში იცვლება კონფლიქტისადმი მიდგომები და დღეს აღარ არის პრობლემა ტერმინის "სამხრეთ ოსეთი" გამოყენება. **„თქვენ უნდა დაგვეხმაროთ, რათა საკითხის მკვდარი წერტილიდან დაძვრა მოხდეს,"** - თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიმართავდა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონფერენციის ჩატარებას, რომელიც გასული წლის მაისამდე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარებოდა, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის მთავრობისათვის. მათთვის აჭარა დაუმორჩილებელ ადგილობრივ ხელისუფლებაზე კონტროლის დამყარების მაგალითია.

გუშინ ბათუმში ოსური მხარის არც ერთი წარმომადგენელი არ ჩასულა - კონფერენციაში მონაწილეობაზე უარის თქმა მათ იმით ახსნეს, რომ მისი ორგანიზება მხოლოდ ქართულმა მხარემ ითავა.

სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა აღნიშნა, რომ ცხინვალი, მოსკოვი და ჩრდილოეთ ოსეთი რომ ყოფილიყვნენ ჩართულები კონფერენციის მომზადების პროცესში, სამხრეთ ოსეთს შესაძლოა მასში მონაწილეობა მიეღო კიდეც. "არსებობს კონფლიქტის მოგვარებაზე მომუშავე ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისია და საქართველო ვალდებული იყო, წარედგინა წინადადებები, რომელზეც აჭარაში იქნებოდა საუბარი," - მიაჩნია მას .

**"საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგეგმილ პიარ-კამპანიაში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებთ. ეს კონფერენცია დასავლეთის გულის მოსაგებად გათვლილი პიარ-კამპანიაა, რომელიც მიზნად იმავე დასავლეთისგან, ერთი მხრივ, ფულის მიღებას და, მეორე მხრივ, დასავლეთისთვის იმის დემონსტრირებას ითვალისწინებს, თუ როგორი ცუდები არიან სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები,"** - აცხადებს ჩოჩიევი.

მისივე მტკიცებით, კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ მიწვევა არა საქართველოს ხელისუფლებისგან, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციისგან მიიღო.

სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას განცხადებით კი, სამხრეთ ოსეთიდან დელეგაციის დაუსწრებლობა კონფერენციის მნიშვნელობას ვერ დააკნინებს, ვინაიდან პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივას, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დარეგულირების შესახებ, მსოფლიოში ცნობილი ექსპერტები ისმენენ.

ხაინდრავა აცხადებს, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთის საელჩოს, თუმცა მათი წარმომადგენლები კონფერენციაზე არ მივიდნენ და ეს ფაქტიც კონფერენციის მნიშვნელობის დონეს ვერ დასწევს.

ბათუმის კონფერენციას ესწრებოდა მსოფლიოში ცნობილი ექსპერტი, ვაშინგტონის სტრატეგიული და პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი თანამშრომელი ვლადიმერ სოკორი. მისი განცხადებით, ის, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას არ იღებს სამხრეთ ოსეთის ოფიციალური დელეგაცია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს არის ოსი ხალხის პოზიცია. სოკორის განცხადებით, ოსეთის ხელისუფლების პოზიცია არის რეკეტი და რუსეთის სამხედრო ძალაზე დაყრდნობა. "ჯეიმსთაუნის ფონდის" მიმომხილველის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივები კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

აჭარის კონფერენცია კონფლიქტის ზონაში ქართულ შენაერთებსა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ჯგუფებს შორის მომხდარი შეტაკების ერთი წლის თავზე ტარდება. შეტაკების შედეგად 16 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. სამხრეთ ოსეთის მხარემ მსხვერპლის რაოდენობა, მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით, არ დააკონკრეტა.

# კონფერენცია, რომელსაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა

პირველი გვერდიდან

ჟურნალისტებთან საუბარში ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის გამოსვლაში ახალი არაფერი იყო. მისი თქმით, შესავალი, რომელიც პრეზიდენტმა გააკეთა და რომელიც აჭარაში მიმდინარე აღმშენებლობის პროცესს ეხებოდა, საჭირო სრულებითაც არ იყო. ბერძენიშვილმა ისიც დასძინა, რომ **"აუცილებელია, მიხეილ სააკაშვილმა ბოდიში მოუხადოს ოს ხალხს ერთი წლის წინ კონფლიქტის ზონაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან სიტუაციის ესკალაციის გამო, რომლის შედეგად სისხლი დაიღვარა, და მთავრობის კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დასვას. ამით ის ოს ხალხთან ნდობის ხარისხს აიმაღლებს."** მისი თქმით, პრეზიდენტმა რუსეთს კონკრეტული პრეტენზიები მკაფიოდ უნდა წაუყენოს და "პუტინისთვის კოჭის გორებას თავი დაანებოს." ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ზოგადად, საქართველოს მთავრობის ინიციატივა კარგია, თუმცა პრეზიდენტი რეალურ ქმედებებზე უნდა გადავიდეს. დავით ბერძენიშვილის შეფასებით, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში კონფლიქტის მოგვარების მცდელობა ერთ ადგილას არის გაყინული.

საგულისხმოა, რომ ჩაქვის კონფერენცია საპროტესტო აქციის ფონზე გაიხსნა. ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ცხინვალისთვის ავტონომიის მინიჭების წინააღმდეგი გამოდის, "სახალხო ფრონტია". გუშინ ამ ორგანიზაციის ლიდერმა ნოდარ ნათაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება საქართველოს ღალატის ტოლფასია. ქვეყნის ხელისუფლება კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე "საქართველოს ზურგს უკან მსჯელობს". სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიის შექმნა საქართველოს მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილად აღიარებას ნიშნავს, რაც ქართველების სიკვდილის ტოლფასია. სამხრეთ ოსეთის საკითხი ე.წ. ფუნქციური პრინციპით უნდა მოგვარდეს.

"ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერი აკაკი ასათიანიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსის აღდგენის კატეგორიული წინააღმდეგია და მიაჩნია, რომ ხელისუფლება ქვეყნის შემადგენლობაში "სამხრეთ ოსეთს" საერთოდ არ უნდა ახსენებდეს.

**"საქართველოს ხელისუფლების მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარება, თავისთავად, ადასტურებს ჩრდილოეთ ოსეთის არსებობას და მათ შესაძლო შეერთებას რუსეთის ფედერაციასთან. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებებით, სახელმწიფო დანაშაულს სჩადის, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, და სახელმწიფო მოწყობის მისი გეგმის განხორციელების შემთხვევაში, არსებული ხელისუფლება არსებობას განსასჯელის სკამზე დაასრულებს,"** - აცხადებს ასათიანი.

კონფერენციას ბოიკოტი გამოუცხადა დიდი ლიახვის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ ვახტანგაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, იგი კონფერენციაზე არ დაჯდება.

**"არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაფერი იციან ადგილობრივი მოსახლეობის განწყობის შესახებ. ისინი თბილისში სხედან და იქ წერენ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შესახებ პროექტებს. ამის მერე რაღა უნდა ვილაპარაკო,"** - აღნიშნა ვახტანგაშვილმა. მისივე თქმით, ოსური მხარისა და დიდი და პატარა ლიახვის ხეობის წარმომადგენლების გარეშე ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საკითხებზე მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციას შედეგი არ ექნება.

## დიმა ავალიანის სვეტი

### RussianБлюз

"ენ-ტე-ვე"-ს ეთერში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს (დუმის) ვიცე-სპიკერს ლუბოვ სლისკას საქართველოს მისამართით წამოცდა ის, რასაც რუსეთის ოფიციალური პირები ფიქრობენ, მაგრამ რაზეც პირდაპირ არასდროს ლაპარაკობენ. უფრო სწორად, ლაპარაკობენ მხოლოდ ჟირინოვსკის პირით, რომელიც "თავისუფალი გიჟის" სტატუსით სარგებლობს.

"ამას უნდა შევეჩვიოთ, ყურადღება არ უნდა მივაქციოთ," - მოუწოდებს ეუთო-ს სესიაზე რუსეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკით გამწარებული სლისკა რუსეთის საზოგადოებას. "ბოლოს და ბოლოს, რაღაც გუბერნიასთან, ისეთთან, როგორიც საქართველოა, სადაც ორნახევარი მილიონი კაცი ცხოვრობს, ისე ვარკვევთ ურთიერთობას, გეგონება, ის მართლაც დიდი და სერიოზული სახელმწიფო იყოს".

სლისკა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციებს და პარლამენტის სპიკერსაც არაერთხელ შეხვედრია, და ამ შეხვედრებზე ორმხრივი ურთიერთობების თაობაზე ბევრი ლამაზი სიტყვები თქმულა. და, თურმე, რა ამაოდ დაუხარჯავს თავისი ძვირფასი დრო – რა საჭირო იყო რაღაც გუბერნიის წარმომადგენლებთან ამდენი ლაპარაკი, "თითქოს ის სერიოზული სახელმწიფოა"?

მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეუთოს წევრი, მართლა სერიოზული სახელმწიფოები ამ პატარა და არასერიოზული გუბერნიების გამო სულ გათავხედდნენ, და რუსეთს ხან ბალტიისპირეთის ოკუპაციის აღიარებას, ხანაც საქართველოს საქმეებში ჩაურევლობას სთხოვენ. გეგონება, ჩეჩნეთი და ხოდორკოვსკი რუსეთის გასამწარებლად ცოტაა... რუს ჩინოვნიკებში ეს ყოველივე მწარე უსამართლობის განცდას იწვევს.

ისინი ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეს ჰგვანან, რომელიც თავიდან თითქოს თანახმაა, ფანჯრები აღარ დაამტვრიოს და სუსტი თანაკლასელები აღარ დაატეროროს. მაგრამ ეს მხოლოდ მასწავლებლებისთვის თვალის ასახვევად, თორემ საკუთარი საქციელის სამართლიანობაში მას ეჭვი არასდროს ეპარება. და მისთვის გაუგებარი მორალის კითხვით გამწარებულს, ზოგჯერ ეს წამოსცდება ხოლმე...

როგორც ჩანს, წვრილმანი ხულიგნის მენტალიტეტი რუსულ პოლიტიკურ ელიტას საკმაოდ ღრმად აქვს გამჯდარი. სლისკამ ძალიან მკაფიოდ ჩამოაყალიბა ახლანდელი რუსული პოლიტიკის არსი – არც საქართველოს და არც მისნაირი "გუბერნიების" ინტერესები მისთვის არაფერს ნიშნავს. სუსტი უნდა დაიჩაგროს! მერე რა, რომ ასეთმა მიდგომამ რუსეთს მრავალი საგარეოპოლიტიკური მარცხი მოუტანა? თუნდაც, უკრაინაში, სადაც პრორუსული კანდიდატის მხრდაჭერამ უკუეფექტი გამოიღო. რუსულ ისტებლიშმენტს პრაგმატული, გააზრებული პოლიტიკის წარმოება თავის ყოფილ სატელიტებთან არ შეუძლია, ვინაიდან მათი სრულუფლებიან სახელმწიფოებად და პარტნიორებად აღიარება მათ ძალებს აღემატება.

"არასწორი" სახელმწიფოების და ურჩი "გუბერნიების" დემონსტრატიული დასჯის ერთჯერადი პიარ-აქცია გასულ კვირაში გოსდუმაში მოეწყო. დეპუტატებმა, პროპუტინური "ედინაია როსიას" ინიციატივით, მთავრობას საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვასათვის ბუნებრივი გაზის გაძვირების მოთხოვნით მიმართეს. სიტუაციის აბსურდულობა იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი ტარიფების დადგენა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია არანაირად არ არის. რაც დაადასტურა კიდევაც რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა ლევიტინმა თბილისში ყოფნისას. ტარიფების მომატება ჩუმად, საქმიან ვითარებაში და ეკონომიკურ გათვლებზე დაყრდნობითაც შეიძლება. მაგრამ ამას ხომ ასეთი პიარ-ეფექტი აღარ ექნებოდა? და არც მეზობელი ქვეყნებისათვის საჯაროდ კუნთების ჩვენება მოხერხდებოდა.

კიდევ უფრო აბსურდულია მოტივაცია – ამ "არასწორი" ქვეყნების "ანტირუსული" პილიტიკა, რომელიც აშშ-სთან, ევროპასთან თანამშრომლობაში და პრორუსულ პოლიტიკაზე უარის თქმაში გამოიხატება.

ამ უკბილო გამოხტომას ერთი რეალური შედეგი ექნება – იმის კიდევ ერთხელ ოფიციალური დემონსტრირება, რომ რუსული პოლიტიკა მეზობლების მიმართ მისთვის არა ცივილიზებულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაა, არამედ "გუბერნიებისთვის" ხელების გადაგრეხა და შანტაჟია. და სხვა სტილის პოლიტიკას რუსული პოლიტიკური ინტელექტი სლისკასა და მისი კოლეგების – ჟირინოვსკის, მიტროფანოვისა და ზატულინის სახით, არ ცნობს.

და, ალბათ, არც საქართველოს ხელისუფლებას და არც საზოგადოებას იმის ილუზია არ უნდა ჰქონდეს, რომ ოდესმე რუსეთი "გონს მოვა" და საქართველოს მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლის. იმიტომ, რომ რასაც არ უნდა მოეწეროს ხელი, რა მეგობრობის ფიცი-მტკიციც არ უნდა გაჩაღდეს, ასეთი სლისკა ყოველთვის გამოინახება, რომელიც დაიყვირებს – "ხალხო, ეს ხომ სახელმწიფო არაა, რას ვეფერებით?"

და თუ ამის გამო რუსეთი საყვედურს მიიღებს, ბალალაიკაზე შესრულებული ბლუზის ჰანგები, დედა-რუსეთის უსამართლოდ დაჩაგვრაზე, კვლავ გაჟღერდება.

# პურის ფასი მცირდება

ბოლო პერიოდში სავაჭრო ქსელში პურის ფასების შემცირების ტენდენცია შეიმჩნევა. მე-4 პურის ქარხნის დირექტორი, მალხაზ დოლიძე ამ ფაქტს ფქვილის გაიაფებასა და იმ მეწარმეების მიერ პურზე დემპინგური ფასების დაწესებას უკავშირებს, რომლებიც ბაზარზე დამკვიდრებას ცდილობენ.

როგორც დოლიძემ სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა, ამჟამად საქართველოში ანტიდემპინგური კანონმდებლობა არ მუშაობს და ბაზარი არაჯანსაღი კონკურენციისგან დაცული არ არის.

როგორც მან აღნიშნა, ერთი კილოგრამი პურის ღირებულება 89 თეთრია და ამ დროს პური საცალო ქსელში (400-500 გრამიანი) 50-55 თეთრად იყიდება. მაღაზიები ცდილობენ, პური იმ მეწარმეებისგან შეიძინონ, რომლებიც მას იაფად ყიდიან.

ამ დროს, პურის ხარისხს ყურადღებას არავინ აქცევს, საბოლოოდ კი მომხმარებელი ზარალდება.

დოლიძის განცხადებით, მეწარმეებმა, რომლებიც დღეს ფასებით მანიპულირებენ და მას საშუალოდ 5 თეთრით ხელოვნურად ამცირებენ, შესაძლოა, პურის ღირებულება სამომავლოდ თვითნებურად გაზარდონ.

დოლიძე იმასაც აცხადებს, რომ მეწარმეების მხრიდან ფასების შემცირება გაზრდილი კონკურენციის შედეგია, რადგან საქართველოში ყოველ ნაბიჯზე პურის საცხობია გახსნილი. ფქვილის ფასის შემცირება კი მსოფლიოში შარშან ხორბლის გაზრდილ მოსავლიანობას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველო, ძირითადად, იმპორტირებული ხორბლის მომხმარებელია. ფქვილი ამჟამად რუსეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შემოდის.

"ჩვენი საგადასახადო კოდექსი იმდენად უსუსურია, რომ მზა პროდუქცია სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც კი შემოდის, სადაც ფქვილს იმპორტირებული ხორბლისაგან აწარმოებენ," - განაცხადა დოლიძემ.

აღსანიშნავია, რომ ერთი ტომარა (50-კილოგრამიანი) ფქვილის ფასი ადრე თუ 28-32 ლარი იყო, ამჟამად იგი 22 ლარამდე შემცირდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ქართველები რესტორნებში მილიონებს ხარჯავენ

2005 წლის იანვარ-მაისში საქართველოს მოქალაქეებმა რესტორნებში 14,6 მილიონი ლარი დახარჯეს. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 7 პროცენტით მეტია.

რაც შეეხება სასტუმროების მომსახურებას. ამ სფეროში, შარშანდელთან შედარებით, ზრდა 40 პროცენტს შეადგენს. მოქალაქეების მიერ სასტუმროების მომსახურებაში გადახდილმა თანხებმა ამავე პერიოდში 15.8 მილიონი ლარი შეადგინა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# ენერგოუსაფრთხოება მხოლოდ გარე ფაქტორების გათვალისწინებას არ გულისხმობს

*შეგახსენებთ, რომ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი", უკვე ცხრა თვეზე მეტია, რაც ენერგოსექტორის მონიტორინგს ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფები ენერგეტიკაში არსებულ ვითარებას, შექმნილ პრობლემებსა და მიმდინარე საკითხებს სწავლობენ. ცენტრის ექსპერტების რეკომენდაციები პროექტის ბოლოს ერთ სარეკომენდაციო პაკეტად უნდა გაერთიანდეს და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს უშიშროების საბჭოს და ენერგობაზრის სუბიექტებს წარედგინოს.*
*მიმდინარე მონიტორინგის შედეგად, ამ ეტაპზე აშკარად იკვეთება დარგის მიმართ ერთიანი სახელმწიფო მიდგომის აუცილებლობა, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების, როგორც აქტიური მხარდამჭერის როლი, ენერგოსექტორის შემდგომი განვითარების საკითხებში.*
*"ეკონომიკური მონიტორინგის ცენტრის" მიერ ჩატარებული ექსპერტული ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ის კონკრეტული მიმართულებები, რომელთაც, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების მიზნით, ხანგრძლივი მონიტორინგი ესაჭიროება. ამ პრიორიტეტებს შორის არის ენერგოუსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (ენერგომატარებლების მომწოდებელთა დივერსიფიცირების შესაძლებლობები; მოწოდების საშუალებები; შიდა რესურსების არსებობა/შექმნა; ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის გატარებული ღონისძიებების გეოპოლიტიური ასპექტების მონიტორინგი), ენერგოსექტორის რეფორმირების ეფექტურობა ენერგოსექტორის სუბიექტები; ენერგოსექტორის სუბიექტებს შორის ურთიერთობების დარეგულირების საკითხები; კორუფცია; სექტორში მიმდინარე რეფორმების მონიტორინგი) და ენერგოუსაფრთხოების შიდა პრობლემატიკა (მიწოდების ტექნიკური ნორმების დაცვა; კორუფციული ფაქტორი; მომხმარებელთან ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცების პრობლემები; ენერგოობიექტებისა და მომხმარებელთა ტექნიკური ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების მონიტორინგი). დღეს ამ უკანასკნელზე შევჩერდებით.*

მას შემდეგ, რაც ენერგეტიკის სამინისტრომ ენერგოზედამხედველობის სამსახური რეორგანიზების რეჟიმში გადაიყვანა, საქართველოს ენერგოსექტორში ერთგვარი ვაკუუმი შეიქმნა. კერძოდ, ელექტროდანადგარების არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეული ზარალისა და, მეტიც - მსხვერპლის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა გამოკვეთილი არ არის.

რაც მთავარია, ამ ზარალისა და მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად არ არსებობს არავითარი დეკლარირებული გზა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი ორგანიზაცია იოლად გადაწყვეტდა ტექნიკური უსაფრთხოების პრობლემას.

ეს ვაკუუმი უცებ აღმოაჩინეს, გამოსავალი იპოვეს და, ავარიებისა თუ დაზიანებებისგან ცივილიზებული გზით თავის დაზღვევის მიზნით, წარმატებულად შეავსეს საქართველოში მომუშავე უცხოურმა კომპანიებმა. საქმე ის გახლავთ, რომ საკანონმდებლო ვაკუუმს მომზადებული შეხვდა თავად შიდა ბაზარი - ჩამოყალიბდა რამდენიმე ადგილობრივი კერძო კომპანია, რომელთაც ელექტრომეურნეობების ტექნიკური მომსახურების ფუნქცია თავის თავზე აიღო. სწორედ ამ კომპანიებს დაუკავშირდნენ, საკუთარი ელექტრომეურნეობების უსაფრთხოება ანდეს და მათთან გააფორმეს ხელშეკრულებები უცხოურმა და, სხვათა შორის, რამდენიმე ადგილობრივმა სოლიდურმა კომპანიამაც (მაგალითად, "თბილისი-მარიოტმა", "ქორთიარდ-მარიოტმა", "მეტეხი-პალასმა", შპს "ნიკორამ", შპს "მინამ" და ა.შ.).

რატომ მიიღეს მათ ეს გადაწყვეტილება?

საქმე ის გახლავთ, რომ ენერგოზედამხედველობის სამსახურის მოვალეობა იყო წარმოება-დაწესებულებისთვის გაეწია სავალდებულო, კვალიფიციური რეკომენდაციები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციის ტექნიკური ნორმების დაცვის თვალსაზრისით. ასევე, ამ სამსახურის მიერ ხდებოდა წარმოება-დაწესებულებების ელექტრომეურნეობების მომსახურე პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

ორგანიზაციები, რომელთაც ენერგოზედამხედველობის სამსახურის შემოწმება გავლილი ჰქონდათ, სამართლებრივად (და, შესაბამისად, ტექნიკურადაც) დაზღვეულნი იყვნენ ავარიებისა და სერიოზული დაზიანებებისგან. ამ დროს, ასეთი ავარიები და დაზიანებები, თავის მხრივ, ბევრ თავსატეხს და ზედმეტ ხარჯებს უჩენდა ორგანიზაციებს, რომელთაც ანალოგიური შემოწმება გავლილი არ ჰქონდათ.

შეგახსენებთ ელექტროენერგიის გათიშვის სკანდალურ ფაქტს, როცა საქართველო-რუსეთის უმნიშვნელოვანესი მატჩის დროს ლოკომოტივის სტადიონის შიდა ელექტრომეურნეობა მწყობრიდან გამოვიდა და, შედეგად, ლოკომოტივის სტადიონის შიდა ზარალზე რომ არაფერი ითქვას, იზარალა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც და მას 300 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა და დამატებით მატჩის ხელახალი ორგანიზებისთვის საჭირო ხარჯების საკუთარ თავზე აღება მოუხდა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ინფორმაციით, ლოკომოტივის სტადიონის ელექტრომეურნეობა დღესაც არ არის გამართული საჭირო სტანდარტების შესაბამისად და, ამდენად, ავარიის ალბათობა აქ ისევ არსებობს. მით უმეტეს, რომ სტადიონს ჯერ არ შეუსრულებია ის ელემენტარული რეკომენდაციებიც კი, რომლებიც ჯერ კიდევ თავისი არსებობის დროს, ენერგოზედამხედველობის მაშინდელმა სამსახურმა გაუწია.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის" ექსპერტების შეფასებით, უფრო სავალალო მდგომარეობაა თბილისის მეტროპოლიტენში, საქართველოს რკინიგზაში, პორტებში, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ობიექტებსა და ბევრ სტრატეგიულ ობიექტზე, სადაც დასაქმებულთა, მცხოვრებთა და, ამდენად, სასიცოცხლო რისკის ქვეშ მყოფთა რაოდენობა განსაკუთრებულად დიდია. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისთვის ამ ობიექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ავარიის შემთხვევაში მოსალოდნელია ძალიან დიდი ფინანსური ზარალიც.

ამ ეტაპზე ენერგეტიკის სამინისტროში მიმდინარეობს ენერგოზედამხედველობის ყოფილი სამსახურის რეორგანიზება, რის შედეგადაც ინსპექციის ტიპის სტრუქტურა უნდა შეიქმნას. თუმცა, ეს პროცესი უკვე სამი თვეა, იწელება და ახალი სამსახურის კონკრეტული მოდელი, უფლება-მოვალეობები და ფუნქციები დღემდე არ ხმაურდება.

ენერგოზედამხედველობის სამსახურის რეორგანიზების მოტივაცია ის გახლდათ, რომ ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განმარტებით, ენერგოზედამხედველობის სამსახურის მანამდე არსებული მოდელი ტოვებდა კორუფციული გარიგებების შესაძლებლობებს.

შეიქმნა უხერხულობა: სახელმწიფომ მიიღო სწორი და ყოველმხრივ გამართლებული გადაწყვეტილება ბაზარზე კონკურენტული გარემოს დაშვების თვალსაზრისით და შეწყვიტა კერძო მეწარმეთა საქმიანობის პირდაპირი კონტროლი, მაგრამ გაჩნდა სხვა პრობლემა: ამ ვითარებაში კერძო მეწარმეები ამ გადაწყვეტილებისთვის მზად არ აღმოჩნდნენ და საკუთარი ენერგომეურნეობების უსაფრთხოების საკუთარი ინიციატივით შემოწმების სურვილი არ გამოამჟღავნეს. შედეგად კი, მათივე საწარმოებში ავარიების ალბათობა კატასტროფულად მატულობს.

ამ დროს, ნებისმიერ მცირე საწარმოში მომხდარმა ავარიამ და, შედეგად, ძაბვის მატებამ, სიხშირის ვარდნამ და ა.შ., პოტენციურად, შეიძლება მთელი ენერგოსისტემის ავარია გამოიწვიოს. ეს ნებისმიერი ენერგეტიკოსისთვის არის ცნობილი.

სად არის გამოსავალი?

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ენერგოზედამხედველობის ყოფილი სამსახურის ფუნქციებს მის სამართალმემკვიდრეს – ინსპექციის ტიპის სტრუქტურას დააკისრებს, საქმის ვითარება საწყის ნიშნულს დაუბრუნდება და სახელმწიფო კვლავ კერძო სუბიექტების საქმეში "ცხვირის ჩაყოფას" დაიწყებს. შედეგად, სამსახურის რეორგანიზების მთელი პროცესი ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს დაკარგავს.

აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, სახელმწიფო ამ ახალ ინსპექციას მხოლოდ რეკომენდატორის ფუნქციებს დაუტოვებს, ენერგოუსაფრთხოების ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი გაზომვებისა და სხვა ყველა საჭირო სამუშაოების ჩატარების უფლება კი კერძო უწყებებს საგანგებო ლიცენზიების საფუძველზე ექნებათ. ამ შემთხვევაში, ლოგიკურად, საკანონმდებლო კუთხით სამუშაო სწორედ ლიცენზირების წესებში იქნება ჩასატარებელი.

არსებობს თუ არა საერთაშორისო პრაქტიკა ელექტროდანადგარების უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ორგანიზაციების ლიცენზირების საქმეში?

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტებმა მოიძიეს მასალები, რომლებიც ამ სეგმენტში უცხო ქვეყნების გამოცდილებას გვიზიარებს. როგორც აღმოჩნდა, ეს საკითხი წლების წინ აქტუალური იყო მრავალ ქვეყანაში, მათ შორის - რუსეთშიც. სხვათა შორის, რუსეთმა, დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით, ამ სეგმენტის განვითარების კონკურენტული გზა ჯერ კიდევ ათი წლის წინ აირჩია.

ამ სეგმენტის ლიცენზირების გზით რეგულირება დსთ-ს სხვა ქვეყნებსა და რამდენიმე ევროპულ ქვეყანაშიც ხდება.

**მაინც, რა სალიცენზიო მოთხოვნები უნდა წაუყენოს სახელწიფომ ორგანიზაციებს, რომლებიც კერძო თუ სახელმწიფო კომპანიებს შიდა ელექტროქსელების საექსპლუატაციო მომსახურებას გაუწევენ?**

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტთა რჩევით, უპირველეს ყოვლისა, ამ კომპანიებმა საჭიროა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

1. უნდა იყონ ოფიციალურად აღიარებულნი, ტექნიკურად კომპეტენტურნი და დამოუკიდებელნი ელექტროდანადგარების გამოცდასა და გაზომვებში (დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან წლების განმავლობაში ასეთი ტიპის ორგანიზაციების უმეტესობა ყალიბდებოდა სწორედ ენერგოსტრუქტურების და, კერძოდ, ენერგოზედამხედველობის მაღალჩინოსნების ინიციატივით, ე.წ. მათ "ჯიბის კომპანიებად". იყო შემთხვევები, როდესაც ასეთ "ჯიბის კომპანიებს" თავად ის ორგანიზაციები ქმნიდნენ, რომელთაც ყველაზე ხშირად ესაჭიროებოდათ მსგავსი ტიპის შემოწმება. ამდენად, ბაზარზე ნამდვილად დამოუკიდებელი, ახალი კომპანიების შემოსვლა, ლოგიკურად, თავისთავად ექცევა სახელმწიფო ინტერესებში და, ბუნებრივია, სახელმწიფომ ბაზარზე მათ დამკვიდრებას ხელი შესაბამისი ლიცენზირების მექანიზმების მაქსიმალური საკანონმდებლო დახვეწით უნდა შეუწყოს. ამასთან, ძველი, მავნე პრაქტიკიდან გამომდინარე, თავად კომპანიის სტატუსი, ორგანიზაციული სტრუქტურა, ადმინისტრაციული დაქვემდებარება და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება უნდა გამორიცხავდეს კომპანიის ხელმძღვანელთა გარიგებას საწარმოსთან, რასაც შედეგად, შესაძლოა, რეალური სურათის შეგნებული დამახინჯება მოჰყვეს).

2. უნდა ფლობდნენ თანამედროვე აპარატურას, დანადგარებს და შესაბამის ხელსაწყოებს (საუბარია ელექტროგამზომ ლაბორატორიაზე);

3. პერსონალი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს - მათ სათანადო სპეციალური მომზადება უნდა ჰქონდეთ გავლილი და კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატებს ფლობდნენ.

უფრო დეტალურად, ეს კომპანია უნდა იყოს ოფიციალურად აღიარებული, ტექნიკურად კომპეტენტური და დამოუკიდებელი ელექტროდანადგარების გამოცდასა და გაზომვებში.

ელექტროგამზომი ლაბორატორიის სტატუსი, ორგანიზაციული სტრუქტურა, ადმინისტრაციული დაქვემდებარება და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება უნდა გამორიცხავდეს ელექტროგამზომი ლაბორატორია და მის პერსონალზე კომერციული, ფინანსური, ადმინისტრაციული ან სხვა ტიპის ზეწოლას, რომელიც განხორციელებული გაზომვების შედეგებზე გავლენას მოახდენს.

იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი ზეწოლა და გავლენა ელექტროგამზომ ლაბორატორიათა გაზომვა-გამოცდების შედეგებთან მიმართებაში, უნდა შემუშავდეს და გამოიყენებოდეს ელექტროდანადგარების გაზომვა-გამოცდის დოკუმენტური პროცედურა.

გაზომვა-გამოცდების შედეგების ობიექტურობაზე პასუხს უნდა აგებდეს ელექტროგამზომი ლაბორატორიის ადმინისტრაცია, თუმცა მისი ორგანიზებული სტრუქტურისა და გაზომვა-გამოცდის პროცედურების დოკუმენტური ხასიათიდან გამომდინარე, ადმინისტრაცია ვერ უნდა ახდენდეს გავლენას გაზომვის შედეგებზე.

ელექტროგამზომ ლაბორატორიას უნდა გააჩნდეს გაზომვებისთვის აუცილებელი დანადგარები, ჰყავდეს კვალიფიციური და სათანადო, სპეციალურ მომზადებაგავლილი პერსონალი.

**ამავდროულად, თავად მეწარმეები, რომელთაც ამ კომპანიების დახმარება სჭირდებათ, უნდა აცნობიერებდნენ შემდეგს:**

თუ საწარმოს ადმინისტრაციის დაუდევრობა საწარმოში ზარალს და, მით უფრო, ფატალურ შედეგებს იწვევს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა, საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) კანონმდებლობის თანახმად, მკაცრად ისჯება.

მსგავსი შემთხვევებისგან თავის დაზღვევა კი შესაძლებელია, თუ საწარმოების ხელმძღვანელები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ელექტროდანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის საკითხს, კერძოდ კი, უზრუნველყოფენ:

1. ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროდანადგარების გამართულ მუშაობას;

2. ელექტროდანადგარების ექსპლუატაციას ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად;

3. პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებას;

4. ელექტროტექნიკური დანადგარების აუცილებელ, გამზომი საგამოცდო მოქმედებების ჩატარებას დადგენილ ვადებში;

5. ელექტროდანადგარების დროულ მოდერნიზაციასა და რეკონსტრუქციას;

6. ელექტროტექნიკური პერსონალის საკვალიფიკაციო სწავლებას და მათთვის პერიოდულად საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებას ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესების ცოდნის შემოწმების მიზნით.

ბუნებრივია, ორგანიზაცია თავისუფალია არჩევანში და შეუძლია, ამ პროფილის კონსულტანტი კომპანია თავად აირჩიოს.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია, რომ ყოველი ელექტროდანადგარი, მონტაჟისა და ექსპლუატაციაში გაშვების წინ, დაათვალიერონ და გამოსცადონ, თუ რამდენად შეესაბამება მისთვის დადგენილ სტანდარტულ მოთხოვნებს. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია შემოწმების შემდეგი სახეები: ტიპიური (რომელიც ტარდება წარმოება-დაწესებულებებში); სასერტიფიკაციო; მიღება-ჩაბარების; საექსპლუატაციო; პერიოდული; საკონტროლო და ხარვეზების აღმოსაფხვრელი. იმის მიხედვით, თუ რა ტიპის გამოცდა ტარდება, დგინდება შემოწმების, გაზომვებისა და გამოცდების სამუშაოთა მოცულობა.

როგორც წესი, ყველაზე მოცულობითი გამოცდაა ელექტროდანადგარის მიღება-ჩაბარებისთვის ჩატარებული შემოწმება, რომელიც ჩასატარებელ სამუშაოთა ყველაზე ბევრ სახეობას მოიცავს, მათ შორის: ელექტროდანადგარის ვიზუალური დათვალიერება (რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ხანძარსაწინააღმდეგო და თბური ზემოქმედებისგან დამცავი საშუალებების არსებობის დადასტურებას, სიგნალიზაციისა და დაცვის სხვა მექანიზმების მუშაობის შემოწმებას; ამომრთველი ტექნოლოგიების სწორი განლაგების შემოწმებას; გარე ზემოქმედებისგან დამცავი საშუალებებისა და მოწყობილობების სწორ შერჩევას; მუშა და სარეზერვო კაბელების, ასევე, მცველებისა და ა.შ. სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას; აუცილებელი სქემების, გამაფრთხილებელი წარწერებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის არსებობის შემოწმებასა და სადენების შეერთების სისწორის დადასტურებას); დამიწების მოწყობილობების გაზომვა-შემოწმებას; დამცავი სადენებისა და პოტენციალთა სხვაობის გაზომვა-შემოწმებას; ელექტროდანადგარების იზოლაციის წინაღობის შემოწმებას; ავტომატური ამომრთველების გამართული მუშაობის შემოწმებას და სხვა.

**რა სურათია ამ მხრივ საქართველოში?**

ამ სეგმენტის მონიტორინგის შედეგად, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინა ვერც ერთი შედარებით მცირე საწარმო, სადაც წარმოების ხელმძღვანელებს ექნებოდათ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. რა ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატიული დოკუმენტაცია გააჩნია ადგილზე ელექტროდანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელ ელექტროტექნიკურ პერსონალს?

2. რა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები აქვს ელექტროდანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციასთან დაკავშირებით წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს?

3. როგორია იმ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც ახალი და რეკონსტრუირებული დანადგარების ექსპლუატაციაში დაშვების წესს განსაზღვრავს?

4. როგორ უნდა ხორციელდებოდეს ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროტექნიკური დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი?

5. რა წესით, პერიოდულობით და ვის მიერ განისაზღვრება ელექტროტექნიკური დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის აუცილებელი დიაგნოსტიკა?

6. როგორ განისაზღვრება ექსპლუატაციაში დაშვებული (ან ექსპლუატაციაში ხელახლა შეყვანილი, რეკონსტრუირებული) ელექტროტექნიკური დანადგარებისთვის აუცილებელი გამზომი საგამოცდო მოქმედებები ლიცენზირებული ელექტროლაბორატორიების მიერ?

არადა, ამ კითხვებზე პასუხის არქონა ნიშნავს, რომ არ ჩანს, თუ ვინ იღებს პასუხისმგებლობას წარმოება-დაწესებულებებში ელექტროდანადგარების ტექნიკურ მდგომარეობასა და მათი სწორი ექსპლუატაციის გზით ავარიების და, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ავარიის სავალალო შედეგების თავიდან აცილებაზე.

სამაგიეროდ, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტთა მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად შეგროვებული კონკრეტული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ზემოთნახსენებ საწარმოებში ელექტროდანადგარების ექსპლუატაციის წესების დარღვევა, ფაქტობრივად, მასშტაბური ხასიათისაა. ეს, ბუნებრივია, ავარიებისა და უბედური შემთხვევების რისკ-ფაქტორებს ზრდის.

აქედან გამომდინარე, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტები დღეს შესაბამის სტრუქტურებს ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილებისკენ მოუწოდებენ, ვინაიდან ენერგოუსაფრთხოება მხოლოდ გარე ფაქტორებზე - უცხო ქვეყნების გავლენასა და ენერგომომწოდებლების დივერსიფიცირებაზე საუბარს არ გულისხმობს.

## ყურადღება!

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარების და რეფორმების ფონდი ანახლებს წარმატებულ პროექტს: - "სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა იურისტებისთვის".

ამა წლის 15 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა საკონკურსო წესით შერჩეულ 14 წარმატებულ კანდიდატს ევროპის და აშშ-ის საუკეთესო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე სასწავლებლად სრული დაფინანსების მოპოვება.

პრეზიდენტის ინიციატივით, ვაცხადებთ კონკურსის მეორე რაუნდს იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთათვის. (კონკურსის მეორე რაუნდში ვერ მიიღებენ მონაწილეობას პირველ რაუნდში მონაწილე კანდიდატები).

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან აშშ-ის უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდებზე:
www.drf.org.ge
საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 20 ივლისი,.
შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)**
**ელ-ფოსტა: isulava@drf.org.ge**
**ირინა სულავა**
**სასწავლო პროგრამის კოორდინატორი**

## CENN და თელასი აწყობენ ექსკურსიას მეცხრე ბლოკზე

*ელექტროენერგეტიკული სექტორის მართვის ეტაპობრივად გაუმჯობესებისა და მასში საზოგადოების ჩართვის მხარდაჭერის პროექტს "ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით" ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციების ("კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი" (CENN), "მწვანე ალტერნატივა" და "ეკოხედვა") კოალიცია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს აგებს არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია.*

---

2003 წლის ნოემბრიდან "კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის" (CENN) ხელმძღვანელობით ხორციელდება პროექტი, სახელწოდებით: "ადგილობრივი პოტენციალისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა ენერგეტიკის სექტორის მართვის გაუმჯობესების მიზნით". პროექტი მიზნად ისახავს ენერგოსერვისის გაუმჯობესებას, სექტორში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას თემთა მობილიზაციის გზით, ურთიერთნდობის ამაღლებას მომხმარებლებს, ელექტროენერგიის მწარმოებელ, მარეგულირებელ ინსტიტუტებსა და კერძო დისტრიბუტორებს შორის, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას და რესურსების გამოყენების საკითხში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას.

CENN-ის ინიციატივით 2005 წლის აპრილისა და მაისის თვეებში მიმდინარეობდა საგანმანათლებლო მუშაობა თბილისის შვიდ სკოლაში, რაც მოიცავდა: ბავშვთა ნახატების გამოფენას, საინფორმაციო ბროშურების, პლაკატების, საბავშვო კალენდრების გავრცელებას, ბავშვებისთვის გაკვეთილების ჩატარებას ენერგორესურსების და ენერგიის დაზოგვის თემაზე, სამუშაო რვეულებისა და წიგნების გავრცელებას ენერგიის დაზოგვის შესახებ, მათთვის ექსკურსიების მოწყობას თბილისის ელექტროგანამაწილებელ კომპანიაში და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების ერთგვარ დაგვირგვინებას წარმოადგენდა CENN-ისა და თელასის მიერ ბავშვებისთვის ექსკურსიის მოწყობა გარდაბნის თბოელექტროსადგურზე. აღნიშნულ ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო თბილისის ექვსმა სკოლამ, ესენია: დიდუბის (მე-100), ვარკეთილის (18-ე), ნაძალადევის (მე-12), ოქროსუბნის (29-ე), ავლაბრის (84-ე) სკოლები და ქართული სასწავლებელი.

ბავშვებს, აპრილის და მაისის თვეში CENN-ის და თელასის მიერ ერთობლივად ჩატარებული გაკვეთილების საფუძველზე, საკმაო ინფორმაცია ჰქონდათ იმ აუცილებელი პირობების შესახებ, რომელთა დაცვაც საჭიროა ქვეყნის ენერგოსისტემის უკეთესად ფუნქციონირებისათვის. აქედან გამომდინარე, გარდაბნის თბოელექტროსადგურზე ჩატარებულ ექსკურსიას ისინი განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ და მრავალხმრივი ინფორმაცია მიიღეს თბოელექტროსადგურის ზოგადი სტრუქტურის, მისი მუშაობის ძირითადი პრინციპების, არსებული სირთულეების და მეცხრე და მეათე ბლოკების უკეთესი ფუნქციონირებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

ბავშვებმა დაათვალიერეს 300 მეგავატიანი ენერგობლოკები, წყლის დამუშავების ქიმიური საამქრო, სისტემის მართვის კომპიუტერული ფარი და შხეფსაცივარი მოწყობილობა.

ექსკურსიის შემდეგ მოეწყო შეჯიბრი ექვსი სკოლის ბავშვებს შორის. შეჯიბრი მოიცავდა ლოგიკურ ამოცანებს, კითხვებს ენერგიასა და ფიზიკაზე და პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოებს, რამაც განსაკუთრებული ენთუზიაზმი და ხალისი შეიტანა შეჯიბრში.

რაც ყველაზე მთავარია, ბავშვებმა უამრავი მათთვის საინტერესო ინფორმაცია მიიღეს თბოლექტროსადგურებსა და ზოგადად საქართველოს ენერგოსისტემაზე, დაათვალიერეს გარდაბნის თბოელეტქროსადგურის ბევრი საინტერესო სტრუქტურული ერთეული და წარმატებით გაართვეს თავი მათთვის მომზადებულ საინტერესო კითხვებსა და სავარჯიშოებს. ექსკურსიის ბოლოს CENN-ის თანამშრომლების მიერ დაჯილდოვდა ორი სკოლა (კერძოდ, ავლაბრის და ოქროსუბნის სკოლები), რომლებმაც ყველაზე მაღალი შედეგები აჩვენეს სკოლებს შორის გამართული შეჯიბრის დროს.

**კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი "CENN"**

**ტელ: +995 32 75 19 03/04**
**ფაქსი: +995 32 75 19 05**
**ელ.ფოსტა: info@cenn.org**
**ვებ-გვერდი: www.cenn.org**

ნოდარ ლადარია

**"უბნის მაყურებელი აღმოჩნდება საპატიმროში, "კანონიერი ქურდი" ავტომატურად აღმოჩნდება საპატიმროში... არა აქვს მნიშვნელობა, ის თვითონ ქურდობს თუ არა... ორგანიზებულ დანაშაულს ყოველ გზას ჩავუჭრით**" — გვახარა გასულ ორშაბათს **მიხეილ სააკაშვილმა**. ამ მოულოდნელ და, ზოგადად, სასიხარულო განცხადებას მედიაში დისკუსიაც მოჰყვა. თუმცა, უნდა ითქვას, დისკუსიის შინაარსი საკმაოდ ღარიბი იყო და ლამის ერთადერთი შეკითხვით ამოიწურებოდა: როგორ დაამტკიცებს სახელმწიფო, ვინაა "კანონიერი ქურდი". მაგრამ ნამდვილი დისკუსიის საბაბი გაცილებით უფრო ღრმაა...

მეტის ახსნა შეუძლია პრეზიდენტის მიერ ხსენებულ სხვა ტერმინს: "უბნის მაყურებელი". ამ კონტექსტში ყურება კონტროლს, ზედამხედველობას ნიშნავს — ანუ ერთმანეთს პარადოქსულად თანხვდება ციხის ადმინისტრაციისა და კრიმინალური იერარქიის ფუნქციები. ზედამხედველი რომ ბერძნულად ვთარგმნოთ, კიდევ ერთ საგულისხმო ტერმინს მივიღებთ: "ეპისკოპოსი". მაგრამ ამაზე ქვემოთ. მანამდე კი ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება: კრიმინალები სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას "ბოზობას" უწოდებენ — არა "მოღალატეობას", არა "გამცემობას", არამედ სწორედ "ბოზობას". ვინაა "ბოზი"? — ის, ვინც ერთზე მეტ პარტნიორს ირჩევს. პარტნიორები კი ვინ არიან ერთმანეთის მიმართ? — არა აუცილებლად მტრები, რადგან არცოდნის, გაუმჟღავნებლობის შემთხვევაში მათი მშვიდობიანი თანაარსებობა გარანტირებულია, არამედ **კონკურენტები**. კონკურენცია ბევრ სფეროში თანამშრომლობას გულისხმობს, ამ შემთხვევაში კი განსაკუთრებით, რადგან კონკურენციის ველი საზოგადოებრივი კონტროლია...

კრიმინალური იერარქია საზოგადოებრივი კონტროლის ერთგვარი ჩრდილოვანი ფორმაა. ამის საბუთები მრავალგან შეგვიძლია ამოვიკითხოთ საბჭოთა "გულაგისადმი" მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებებსა და მოგონებებში. სისტემური სახით კი ეს იდეა განვითარებულია **გიგი თევზაძის** სტატიაში Thieves in Law: New Facts for the History of Social Control (კანონიერი ქურდები: ახალი ფაქტები სოციალური კონტროლის ისტორიისათვის), რომელიც მალე გამოიცემა. აქ ქურდების ინსტიტუტი შედარებულია დასავლურ საეკლესიო ორდენებთან. რისი თქმა მსურს ამით? — პასუხის გასაცემად ჯერ ეს ფაქტი განვიხილოთ: სულ რაღაც 5000 ლარი ჯდება სისტემა, რომლის წყალობით საპატიმროში ვეღარ იმოქმედებს მობილური ტელეფონი. სისტემა დღემდე არაა დაყენებული. კონკრეტულ მიზეზებს იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც დასკვნას: ოფიციალურ და ჩრდილოვან კონტროლს შორის უხილავ დამაკავშირებელ ძაფებს სრულიად მოულოდნელ ადგილებში შეიძლება წავაწყდეთ. მიამიტობაა იმის ფიქრი, რომ კანონის ტექსტს თავისთავად შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება. ტექსტი მხოლოდ ტექსტია და მეტი არაფერი — ასამოქმედებლად მას მრავალი პირობა სჭირდება, ეს პირობები კი გარემომცველ რეალობაში უნდა წარმოიშვას. ამიტომაც რამდენიმე ფაქტი ამ რეალობიდან:

1. რამდენიმე დღის წინ "მარშრუტკაში" ერთ საუბარს მოვკარი ყური. ერთ-ერთი მგზავრი ესპანეთიდან ახალჩამოსულ ნაცნობს ეუბნებოდა: თქვენ რა გიჭირთ, **ტარიელ ონიანი** გპატრონობთო. თანამოსაუბრე არ ეთანხმებოდა — მისი თქმით ონიანზე მომუშავე ქართველებს პასპორტებსართმევენ, მხოლოდ 25 ევროს უხდიან და საერთოდაც მონებივით ჰყავთ. ახლა წარმოვიდგინოთ საქმის გასარკვევად ადგილზე ჩასული ჟურნალისტი. "მონები" მასთან გულახდილ ლაპარაკს ერიდებიან, "პლანტატორი" კი საჩუქრებით ავსებს. რას უნდა ვენდოთ — ყურმოკრულ საუბარს თუ შესაძლო ტელერეპორტაჟს? ამ შემთხვევაში მე არაფერს ვამტკიცებ გარდა იმისა, რომ **საზოგადოებას ზედამხედველობის არც ერთი მექანიზმი არ გააჩნია, რომელიც "მარშრუტკის" შეზღუდულ სივრცეს გადააბიჯებს**.

2. გახსოვთ "ძმები კარამაზოვები"? — "ერთი უხსენებელი მეორეს ჩაყლაპავს, მერე რა?" — როყიოდ ჩაილაპარაკებს ივანე და ამის გამგონე სმერდიაკოვი თავში საფერფლის ჩარტყმით კლავს მამას. "ნორმალურ ქვეყანაში სამსახურს დაკარგავდი" — ნაჩხუბარი და გაღიზიანებული დეპუტატი **გიგა ბოკერია** ამას ან ამის მაგვარ რაღაცას ეუბნება ტელეკომპანია "მზის" თანამშრომელს, **ირაკლი იმნაიშვილს**, მეორე დღეს კი იწყება დიდი აურზაური: ხელისუფლება ცენზურით ახრჩობს მედიას! რა ხდება? — უბრალოდ, მოქმედ პირებს (კომპანიის მფლობელიდან ოპოზიციურ პოლიტიკოსებამდე ხელისუფლების გავლით) **იოტისოდენაც არ სჯერათ მიღებული კანონებისა, თუნდაც მათივე ხელით იყოს დაწერილი**. ჭეშმარიტების ერთადერთი ნიშანი მათთვის ალმაცერი გამოხედვა, დაგდებული სიტყვა და სხვა ამგვარი სისულელეა, რასაც მხოლოდ ერთ ადგილას შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა — საერთო საკანში. ჰოდა, ბ-ნი იმნაიშვილიც ახლა შიშით ფიქრობს, რომ ნეკნებს შორის შესრიალებულ რკინას (სამსახურიდან წასვლას) გადაურჩება და "პარაშას" გვერდით დაჯდომას (გადაცემის დახურვას) აკმარებენ.

3. გავიხსენოთ "24 საათში" 5 ივლისს გამოქვეყნებული მასალა იმის შესახებ, რომ მწერალ **ზურაბ მესხს** ანათემა ემუქრება რომანისათვის "ჩვენი უცოდველობა, მამავ...". ამ მასალამაც გამოიწვია თავისი წილი აურზაური: ზოგი იძახდა, ზურაბ მესხი სინამდვილეში **ნაირა გელაშვილიაო**, ზოგიც **ბასილ კობახიძეს** აბრალებდა რომანის ავტორობას. ზოგი იჯერებდა ანათემის ამბავს, ზოგსაც წიგნის გასაყიდად მოგონილ ხრიკად მიაჩნდა. ამას მნიშვნელობა არა აქვს, ჩემი გამოცდილებაც მხოლოდ იმისთვის კმარა, რომ ერთი რამ დავიჯერო: რომანის ტექსტის ფრაგმენტი, რომელიც მასალაშია მოყვანილი, სინამდვილეს შეეფერება. ვნახოთ ციტატა: "**ყოფილა ვინმე როენა თუაშვილი... ეკლესიის მთავრობაში ვილაც გავლენიანი... ეს როენა თუაშვილი ყოფილა მღვდლების კაგებე, თუ რაღაც ეგეთი... ამ თუაშვილს მღვდლები და ეპისკოპოსები ფეხქვეშ ეგებიან თურმე, მიაქვთ საჩუქრები და რაღაცეები, რადგან მაგაზეა დამოკიდებული მაგათი კარიერა...**". ახლაც წინ მიდევს თბილისის ერთ-ერთი ტაძრის სამღვდელოების მიერ შედგენილი წერილი, სადაც გადმოცემულია საქმენი საგმირონი ქალბატონისა, რომელსაც თურმე საკუთარი თავის ამგვარად წარმოჩინება უყვარს: *საქართველოს მეორე ლედი*. რატომ არაფერი ხდება? რატომ არ მოქმედებს სჯულის კანონი, ქრისტიანული სინდისი და ა. შ. ნუთუ იმიტომ, რომ ხსენებული სუბიექტი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს? სულაც არა — მისი სიცოცხლეც იგივე ბეწვე ჰკიდია, რაზეც ვაჟა-ფშაველას მოგონილი მგლისა, ტოტია რომ ერქვა სახელად. ამოვა მზე (საქართველოს პრეზიდენტი) და მისივე ყოფილი მოძმეები გაფატრავენ და შენთქავენ ტოტიას, ტყავის ნაგლეჯიც არსად დარჩება. მაგრამ მზე ამოსვლას არ ჩქარობს, უსაშველოდ იწელება ზამთრის ღამე და ამ ღამეში მძიმე ძილს მისცემია სჯულის კანონიცა და ქრისტიანული სინდისიც. არის რაღაც, რაც ორივეზე ძლიერი აღმოჩნდა: შიში, ემანდ მე არ შემჭამონო. ეს შიშია, ხმას რომ არ გვაღებინებს, თორემ ამ სიტყვების წაკითხვისას რამდენი ეპისკოპოსიც მოიფხანს ანაფორისა და პანაღიის ქვეშ მყუდროდ მიძინებულ გულს, იმდენი სიკეთე მოგვცა მე და შენ, ჩემო მკითხველო. ეს ჩვენი ქრისტიანი ძმები ისევე იტანჯებიან, როგორც ზონაზე პატიმრები ერთი (ცუდი) ქურდის ახირებების გამო და სულმოუთქმელად ელიან, როდის გადმოიყვანენ მათთან მეორე (კარგ) ქურდს. მაგრამ განა იგივე განწყობით არ მივდივართ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, საარჩევნო ურნებთან?

4. იყო ერთი ინსტიტუტი, რომლის საზომით სააკაშვილის საძულველი "უბნის მაყურებელი" სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენს — ეს ინსტიტუტი საბჭოთა სუკია. ვის, ვის და პრეზიდენტის ბიძას ემახსოვრება სოხუმელი ქურდი "წურო", 1970 წლებში კაგებესთვის რომ პარავდა უცხოელ დიპლომატებს საინტერესო ინფორმაციით სავსე უბის წიგნაკებს. "წუროსთვის" ყბადაღებული რკინის ფარდაც არ არსებობდა: მადლიერმა სუკმა ის აშშ-ში გაამგზავრა საცხოვრებლად. იქიდან იწერებოდა "წურო": ამერიკელებს ფული თან არ დააქვთ, რაღაც ოხრობა "კარტოჩკები" აქვთ და შიმშილით მოვკვდიო. ამ ამბებს მერე სუკის ოფიცრები ქეიფებზე ყვებოდნენ და მეც იქ გავიგონე. იქნებ საფრანგეთში საქართველოს ყოფილ ელჩსაც აქვს რაიმე კურიოზი მოსაყოლი? — თუნდაც იმ პერიოდზე, როცა იქაურ ციხეს ზემოხსენებული ტარიელ ონიანი სტუმრობდა.

ჩვენი ელჩები, საერთოდ, არ ერიდებიან კრიმინალებთან ურთიერთობას. აი, მაგალითად, სააგენტო "ინტერფაქსის" 5 ივლისის ცნობით საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, **პანაიოტის სკანდალაკისმა** დაიბარა მართლმადიდებელი ქვეყნების ელჩები. მათ შორის, საქართველოს ელჩს საყვედურით მიუთითეს, რომ მისი კოლეგა ისრაელში არ უნდა აწყობდეს საქართველოს საელჩოში განკვეთილი პატრიარქის შეხვედრებს ისრაელის პოლიტიკოსებთან. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია: საქართველოს ელჩი ისრაელში, **ლაშა ჟვანია**, განკვეთილი პატრიარქის მეგობარი, თან ახლდა ჩვენი საპატრიარქოს დელეგაციას სრულიად მართლმადიდებელთა კრებაზე, რომელიც 27 ივნისს ჩატარებული წმინდა სინოდის ოქმში აგდებულადაა მოხსენიებული "კონსტანტინეპოლის შეკრებად". ელჩი მოითხოვდა, რომ ქართველ სამღვდელოებას ბრალდებული ირინეოსისათვის დაეჭირა მხარი. ამ ფაქტმა ისეთივე სკანდალი გამოიწვია მართლმადიდებელ სამღვდელოებაში, რომლის მსგავსი 2000 წელს მოხდა ბრიუსელში, როცა საპატრიარქოს დელეგაციაში ოფიციალურად იყო ჩაწერილი ინტერპოლის უფროსი, **კონსტანტინე როგავა**, რომელმაც მთელი დელეგაციისათვის სასტუმროს ფული გადაიხადა.

ამ მეოთხე პუნქტიდან ორი დასკვნა გამომდინარეობს: ა) ქურდების საკითხი აშკარად ეხება სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემებს; ბ) საქართველოს სახელმწიფოს მოხელეები ძალიან ადვილად სწირავენ სახელმწიფო ინტერესებს პირადის სასარგებლოდ.

5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, **თამაზ გამყრელიძის** სტატიაში (*ი. ჯავახიშვილის მესამე სიკვდილი*, 8.07) ვკითხულობთ, რომ თბილისში უნივერსიტეტის დაარსება "**ჩვეულებრივი უმაღლესი განთლების დაწესებულების შექმნას როდი ნიშნავდა მხოლოდ, ეს იყო, უპირველეს ყოვლისა ძველი ქართული მეცნიერების აღდგენა და განახლება, მეცნიერებისა, რომელიც ასე წარმატებით ვითარდებოდა შუა საუკუნეების საქართველოში, ისეთ აკადემიებში, როგორიც იყო გელათის აკადემია, იყალთოს აკადემია და სხვ.**". არ ვეკითხები აკადემიკოსს, რას გულისხმობს ეს "და სხვ."? — მაგრამ ერთ რამეს კი ვეტყოდი: დღეს "წარსული დიდების აღდგენა" ვერ მოხდება, თუ ქართული დიპლომის მქონეს უპრობლემოდ არ მიიღებენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. სწორედ ამისთვის ხდება რეფორმა და არა იმისთვის, რომ ვაჟასა და აკაკის კაბინეტებში გაგრძელდეს il dolce far niente — ტკბილი უსაქმურობა, რომელზედაც თვით უნივერსიტეტელი ფილოლოგები სრულიად ღიად მსჯელობენ კერძო საუბრებში. ჩვენ კი ეს დავიმახსოვროთ: როცა უეჭველ ღირებულებებს სიყალბისთვის იყენებენ, ეს პირველი და ყველაზე ფუნდამენტური ნაბიჯია კრიმინალური მენტალობისკენ...

მთელი ეს მსჯელობა კი მხოლოდ ერთი მიზნით დამჭირდა — მეჩვენებინა, რომ დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ძნელად მოიძებნება ერთი რგოლი მაინც, რომლის წარმომადგენელი დამაჯერებლად და გასაგებად უპასუხებს ერთ მარტივ კითხვას: რატომაა ქურდობა ბოროტება? ამის გარეშე კი ყოველი კანონპროექტი უქმია.

## მომავალ ორშაბათამდე!



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 202424 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



უცხოეთი

# ლონდონში ტერაქტების მსხვერპლთ გლოვობენ

პირველი გვერდიდან

ანალოგიური მოწოდებით მიმართეს ტერორისტებს ლონდონის მსხვილი რელიგიური ერთობების ლიდერებმაც, მათ შორის, მუსლიმური, იუდაისტური, პროტესტანტული და კათოლიკური საზოგადოების მეთაურებმა.

ოფიციალური ვერსიის თანხმად, სულ მცირე 49 ადამიანია დაღუპული, 25 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, ხოლო დაშავებულთა რიცხვი 700 კაცს აჭარბებს, რომელთაგან 15 ჯერ კიდევ კრიტიკულ მდგომარეობაში რჩება.

ტერაქტების განხორციელებაში, თავდაპირველად ეჭვმიტანილი "ალ-ქაიდას" შემდეგ გამოიკვეთა სხვა ვერსიებიც, კერძოდ, როგორც ბრიტანული გაზეთი "News of the World" წერს ლონდონის პოლიციის ყოფილ ხელმძღვანელთან ლორდ სტივენსთან აღებულ ინტერვიუში, აფეთქებების უკან შესაძლოა ადგილობრივი, ბრიტანელი ტერორისტები იდგნენ.

**"ვშიშობ, რომ აფეთქებები ორგანიზებულია იმ ტერორისტების მიერ, რომლებიც გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრობენ. ამდენად, სასურველის რეალურად აღქმა საშიში მაგალითი იქნებოდა მცდარი ილუზიებისა,"** - აღნიშნავს სტივენსი ინტერვიუში.

"ბი-ბი-სი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა 3 000 მოქალაქემ წვრთნა "ალ ქაიდას" ბანაკებში გაიარა. სტივენსის მტკიცებით, ხელისუფლებას ეჭვი სწორედ ამ ხალხზე აქვს აღებული. თუმცა, საკმარისი სამხილების უქონლობის გამო, დიდი ბრიტანეთის როგორც ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები, ასევე სამართალდამცავები, თავს იკავებენ მათი პირდაპირი დადანაშაულებისაგან.

**"ამ ეტაპზე ძიება გრძელდება, ჩვენ ჯერ სამხილების შეგროვების პროცესში ვართ,"** - განაცხადა სკოტლენდიარდის ხელმძღვანელმა ბრაიან პედიკმა.

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ჩარლზ კლარკის თქმით, რაც უფრო მალე იქნებიან დამნაშავეები ნაპოვნი, მით უფრო რეალური იქნება სავარაუდო ტერაქტების განმეორების თავიდან აცილება. უმაღლეს ნიშნულს აღწევს დიდ ბრიტანეთში მასშტაბური საფრთხეების წინააღმდეგ მზადყოფნის დონე, რასაც ბირმინჰემიდან 20 000 მოქალაქის ევაკუაციის ფაქტიც მოწმობს.

**"ლონდონის ტერაქტების ავტორებმა, შესაძლოა, აფეთქებათა ახალი სერია დაგეგმონ. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანა მათი დაკავებაა,"** - განაცხადა დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრაიან კლარკმა.

ლონდონის ტერაქტების შესახებ განცხადებები გაკეთდა უცხოეთშიც. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის თქმით, ლონდონის ტრაგედიამ კაცობრიობას კიდევ ერთხელ შეახსენა განსაკუთრებული სიფრთხილის აუცილებლობა.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის ოტო შილის განცხადებით, საერთაშორისო ტერორიზმის შესუსტების მიუხედავად, იგი ჯერ კიდევ ქმედითუნარიანია, რასაც ლონდონის აფეთქებების სერიაც მოწმობს.

**"მე ყოველთვის შორს ვიყავი იმ აზრისაგან, რომ საფრთხე გაქრა. მართალია, ტერორისტების ქსელი შეუსტდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ქმედითუნარიანია, რაც, სამწუხაროდ, ლონდონის მოვლენებმაც დაადასტურა,"** - თქვა შილიმ გაზეთ "ბილდ ამ ზონტაგისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

რაც შეეხება კითხვას, ხომ არ არსებობს გერმანიაში ანალოგიური ტრაგედიის განმეორების საშიშროება, მინისტრმა მტკიცედ მიუგო, რომ "გერმანია ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა". არგუმენტად კი ოტო შილიმ გერმანიის ხელისუფლების მიერ უსაფრთხოების უკიდურესად გამკაცრება მოიყვანა.

უსაფრთხოების ზომების გამკაცრების პარალელურად გრძელდება იმის ძიება, თუ რა სახის ასაფეთქებელი მოწყობილობები იქნა გამოყენებული ტერაქტებში. პოლიციის მტკიცებით, ასაფეთქებელი მოწყობილობები არ იყო თვითნაკეთი. გარდა ამისა, გაირკვა ისიც, რომ მეტროში განხორციელებული სამი აფეთქებისას, პირველიდან უკანასკნელამდე დროის ინტერვალი 50 წამი იყო და არა წუთები, როგორც ვარაუდობდნენ. ექსპერტთა თქმით, ასეთი სინქრონულობა მხოლოდ ტაიმერის საშუალებით ამოქმედებული დეტონატორებისთვისაა დამახასიათებელი.

დაბოლოს, ამფეთქებელთა კვალის აღმოჩენის მიზნით, სკოტლენდიარდში ბრიტანული პოლიციის არსებობის მანძილზე ყველაზე მასშტაბურ ანალიზს აკეთებენ, რაშიც მათ ხელს აფეთქებამდე და აფეთქების შემდეგ მობილური ტელეფონების საშუალებით გადაღებული კადრებიც უწყობს.

### სამძიმრის წერილი

მის მოწყალებას კენტერბერიის მთავარეპისკოპოსს და სრულიად ინგლისის პრიმასს, ყოვლადღირს დოქტორს როუენ ვილიამს.

**თქვენო მოწყალებავ,**

ტერორისტებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს თავი... შემზარავია, რომ მათგან ყოველი თავის შეხსენება სისხლსა და სიკვდილს, უდანაშაულო მსხვერპლთ და დასახიჩრებულ ცოცხლად გადარჩენილებს უკავშირდება. და ეს კიდევ არ არის სრული ჩამონათვალი იმ ადამიანებისა, რომლებიც იტანჯებიან ამ არაადამიანური ქმედების გამო, ვინაიდან კიდევ არიან დაობლებული ბავშვები, დაქვრივებული მეუღლეები და მწუხარე მშობლები, რომელთა ტკივილის გამოხატვას არ ეყოფა ჩვენი სიტყვები...

ჩვენი სიტყვები არ ყოფნის აგრეთვე იმის ახსნას, თუ რა შეიძლება ამოძრავებდეთ მათ, ვინც ამას სჩადის?! ამაზრზენი და მიუღებელია ყოველი ახსნა, ეს არ უნდა ხდებოდეს ღვთის სახელით! ადამიანებმა არ უნდა გამოიყენონ არაფერი იმისათვის, რათა სხვა ადამიანები გაანადგურონ, ეს არსად არ მიგვიყვანს...

ამიტომაც თუ გვინდა მშვიდობიანი, უსაფრთხო და სამართლიანი მსოფლიოს შენება, ამისათვის არსებობს გზა სიყვარულისა და პატიებისა, გზა შერიგებისა და დიალოგისა, გზა მიტევებისა. ამ გზას ალტერნატივა არ გააჩნია.

ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ ინგლისელი ხალხის მიმართ, რომელმაც ამ დღეებში ასეთი საშინელი და შემაძრწუნებელი ტრაგედია გადაიტანა. ჩვენ ვუთანაგრძნობთ გარდაცვლილთა ოჯახებს და მთლიანად ინგლისელ ხალხს და უზენაესს შევთხოვთ ანუგეშოს მათი გულები და მოუფონოს მათ მწუხარებას.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი სამძიმარი,

*ეპისკოპოს-პრეზიდენტი*
*მალხაზ სონღულაშვილი*
*საქართველოს*
*ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია.*

# ყირგიზეთი ახალ პრეზიდენტს ირჩევს

## "ტიტების რევოლუციამ" ლეგიტიმაციის გამოცდა ჩააბარა

*ყირგიზეთში კვირას საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ექვსი კანდიდატი ცდილობდა, განდევნილი ასკარ აკაევის სავარძლის ლეგიტიმურად დაკავებას, თუმცა, რასაკვირველია, ამის ყველაზე დიდი შანსი ქვეყნის ამჟამინდელ მმართველს, ერთდროულად, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელსა და პარლამენტის მიერ არჩეულ პრემიერ-მინისტრს, კურმანბეკ ბაკიევს ჰქონდა. არჩევნების საბოლოო შედეგები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, მაგრამ დღესვე აშკარაა, რომ ბაკიევის კანდიდატურას ალტერნატივა არ ჰყავს – იგი ყველა "ეგზიტპოლის" მონაცემებით უსწრებს თავის კონკურენტებს.*

ნიკა თარაშვილი

**"უკანასკნელ წლებში პირველად, არჩევნები მართლაც არჩევნებს ნიშნავს. ყირგიზეთის ყველა მოქალაქეს საშუალება აქვს, თავისი ნება თავისუფლად გამოხატოს. არ ხდება ზეწოლა არავიზე; არავის აშინებენ,"** - განაცხადა ბაკიევმა კვირას, მას შედეგ, რაც მის სახლთან ახლოს მდებარე საარჩევნო უბანზე მისცა ხმა.

დამკვირვებელთა აზრით, 10 ივლისის საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდ, თავისუფალ ვითარებაში მიმდინარეობდა. ხმის მიცემისას დარღვევებზე მხოლოდ ბაკიევის კონკურენტები აპელირებდნენ. მათი თქმით, საარჩევნო უბნებზე ბაკიევის სააგიტაციო კამპანიებს ატარებდნენ.

ძნელი სათქმელია, რა შეიძლება შეცვალოს ახალი პრეზიდენტის არჩევამ. მით უმეტეს, რომ ეს ადამიანი და მისი გუნდი, უკვე ხუთი თვეა, მართავენ ქვეყანას. მაგრამ ერთი ფაქტია - გუშინ "ტიტების რევოლუციად" მონათლული მოვლენის ლეგიტიმაცია სრულდებოდა და, მიუხედავად "არაკეთილმოსურნეთა" ეჭვებისა, რომ ამომრჩეველი არ მივიდოდა ხმის მისაცემად, "რევოლუციონერთა" გასახარად, ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. საარჩევნო უბნების დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე ცნობილი გახდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა რეგისტრირებული ელექტორატის 52-მა პროცენტმა მიიღო.



"ტიტების რევოლუციის" ლეგიტიმაციის პროცესი დასრულდა.

ყირგიზეთის მოსახლეობას იმედი აქვს, რომ არჩევნები წერტილს დაუსვამს თითქმის ხუთთვიან არასტაბილურობას, რომელიც 24 მარტს ასკარ აკაევის ქვეყნიდან განდევნას მოჰყვა. ასკარ აკაევის გაქცევას რუსეთში მართლაც არნახული არეულობის დაწყება მოჰყვა ქვეყანაში, განსაკუთრებით, დედაქალაქ ბიშკეკში. ძარცვა და მოროდიორობა რამდენიმე დღის განმავლობაში მძვინვარებდა, სანამ "ტიტების რევოლუციის" კიდევ ერთმა ლიდერმა ფელიქს კულოვმა თავისი ძალოვანი შენაერთებით, და, შეიძლება, ითქვას სასტიკი ზომებითაც არ მოუღო მას ბოლო. სხვათა შორის, აკაევის შეურიგებელ მოწინააღმდეგე კულოვს (თუმცა, ერთ დროს მას, ისევე როგორც სხვა რევოლუციურ ლიდერებს, აკაევის ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა) საკმაოდ კარგი შანსი ჰქონდა პრეზიდენტის სავარძლის დასაკავებლად. თავდაპირველად მას განზრახულიც ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობა. მაგრამ, საბოლოოდ, ისევ "რევოლუციურმა სოლიდარობამ" გაიმარჯვა და მან ეს პოსტი ბაკიევს დაუთმო. თუმცა, ერთი პირობით - ბაკიევის არჩევის შემთხვევაში, იგი პრემიერ-მინისტრის თანამდებობას დაიკავებდა.

ასე რომ, არჩევანი უკვე გაკეთებული აქვთ, როგორც მოსახლეობას (გუშინ თითქმის ყველა გამოკითხული ბაკიევს უჭერდა მხარს), ასევე პოლიტიკოსებს. თუმცა, რამდენად შეუწყობს ხელს ეს არჩევანი ცენტრალურ აზიაში დემოკრატიის გამყარებას, ისევ კითხვის ქვეშ რჩება.

ერთი არჩევანი უკვე ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა უნდა გააკეთოს. საქმე ისაა, რომ ყირგიზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს როგორც რუსული, ასევე ამერიკული სამხედრო ბაზები. ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის დროს ცენტრალური აზიის ქვეყნებში განთავსებულმა ნატო-ელებმა სერიოზულად შეცვალეს ძალთა ბალანსი რეგიონში. გასულ კვირას ასტანაში გამართულ "შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის" სამიტზე, მონაწილე ქვეყნებმა ამერიკელებს შეახსენეს, რომ ოდესმე მათ უნდა დატოვონ რეგიონი.

მართალია, მაშინ საუბარი იყო მხოლოდ უზბეკეთის დატოვებაზე (ამ ქვეყნიდან ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზების გატანის პროცესი უკვე დაწყებულია), მაგრამ, ისიც საგულისხმოა, რომ ყირგიზეთის ამჟამინდელი ლიდერიც იმყოფებოდა იმ შეხვედრაზე. მაშინ მას რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს ამერიკელთა მისამართით, მაგრამ ახლო მომავალში, ალბათ, მოუწევს არჩევანის გაკეთება. როგორც ჩანს, ცენტრალურ აზიაში "გეოპოლიტიკურ მოთამაშეთა" რაოდენობა კრემლს არცთუ ეცოტავება. მით უმეტეს, რომ რეგიონში თავის "სტრატეგიულ ინტერესებზე" განცხადებებს ჩინეთიც აკეთებს.


# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯი

თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორია 1922 წლიდან იწყება, 1870 წელს დაარსებული რეალური სასწავლებლის ბაზაზე გაიხსნა პეტრე მელიქიშვილის სახელობის ქიმიური ტექნიკუმი. მომდევნო წლებში, 1958 წლიდან, ოთხი ტექნიკუმის - თბილისის მეტალურგიული, ნავთობის, კავშირგაბმულობისა და სასოფლო მშენებლობის გაერთიანებით ჩამოყალიბდა თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი, ხოლო 1992 წლიდან, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, გადაკეთდა თბილისის პოლიტექნიკურ კოლეჯად.

არსებობის მანძილზე სასწავლებელმა გამოუშვა ორ ათეულ ათასზე მეტი სპეციალისტი, რომელთა შორის არიან მშენებლები, არქიტექტორები, კერამიკოსები, ქიმიკოს ტექნოლოგები, გაზის მეურნეობის, სანტექნიკის, გამოთვლითი ტექნიკისა და მრავალი სხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

კოლეჯი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი დაწესებულებაა. მას გააჩნია კარგი სასწავლო ბაზა - 40 კაბინეტ-ლაბორატორია, სასწავლო სახელოსნოები, ფუნდამენტური ბიბლიოთეკა 69000 საწიგნო ფონდით, რომელიც არის "საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის" წევრი და აქტიურად თანამშრომლობს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან; ქართული ენის კაბინეტ-მუზეუმი; სპორტდარბაზი, ღია სპორტული მოედანი, დარბაზი ტრენაჟორებით და სააქტო დარბაზი.

თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯს პედაგოგიური რესურსებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ადგილმდებარეობით გააჩნია დიდი პოტენციალი, გახდეს პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შედეგების ერთ-ერთი მაგალითი.

ამჟამად კოლეჯში ფუნქციონირებს შემდეგი სპეციალობები:

არქიტექტურა;
შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა და ექსპლუატაცია;
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
პურის ცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო წარმოება;
ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება;
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება;
პროგრამირება ეგმ და ავტომატიზირებული სისტემებისათვის;
კომპიუტერული სისტემები და ქსელები;
ეკონომიკური ინფორმატიკა.

ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობები საშუალებას იძლევა, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ბიზნესმენებმა, სამშენებლო კომპანიებმა, მეწარმეებმა და სხვა საქმიანმა წრეებმა დაუკვეთონ საკუთარი კადრების მაღალკვალიფიციური მომზადება თბილისის პოლიტექნიკურ კოლეჯს და თავიანთი ორგანიზაციებისათვის გადაწყვიტონ დღეს საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული კვალიფიციური მუშა-მოსამსახურეების დეფიციტი.

აღსანიშნავია, რომ წელს თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯი აღნიშნავს ორ საიუბილეო თარიღს - სასწავლებლის არსებობის 135 წლისთავს და პოლიტექნიკური კოლეჯის (ადრე ტექნიკუმი) 83 წლისთავს, ეს კი დიდი ტრადიციებისა და შესაძლებლობის მაუწყებელია.

**მისამართი: ქ. თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. N8**
**ტელეფონი: 95-30-65, 95-30-67, 95-66-38**

ფეხბურთი

# ქართველები რუსეთში

ასათიანი კვლავ საუკეთესოა, "ალანიას" ახალი მწვრთნელი ჰყავს

მიხეილ აბაიშვილი

იმ დროს, როცა მთელ ევროპაში არდადეგებია და გუნდები მომავალი სეზონისთვის ემზადებიან, რუსეთში ჩემპიონატი სრული სვლით მიმდინარეობს. სასიხარულოა, რომ ამ არცთუ მეორეხარისხოვან საფეხბურთო ჩემპიონატში ქართველი ლეგიონერები საკმაო წარმატებით ასპარეზობენ. რუსეთის ჩემპიონის და მიმდინარე გათამაშების ლიდერის, მოსკოვის "ლოკომოტივის" რიგებში კვლავაც გამორჩეული ფიგურაა მალხაზ ასათიანი. ბოლო ორი ტურია, "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი ეშტრეკოვი ასათიანს ფლეიმეიკერის პოზიციაზე ათამაშებს და მალხაზი ამ საქმეს შესაშური პროდუქტიულობით აკეთებს. მე-14 ტურში "ლოკომოტივმა" დებიუტანტი "ტერეკი" 4:0 გაანადგურა და ამ ოთხი გოლიდან ერთი მალხაზის ანგარიშზეა, ხოლო ორ გოლში ქართველმა ლეგიონერმა პარტნიორებს ასისტირება გაუწია. მე-15 ტურში, რომელიც ორი დღის წინათ გაიმართა, ასათიანის გუნდი პრინციპულ დედაქალაქურ "დერბიში" მოსკოვის "სპარტაკს" დაუპირისპირდა და მორიგი გამარჯვება იზეიმა (2:1). შეხვედრა დაძაბული გამოდგა და ამჯერადაც, ასათიანი გამორჩეული ფიგურა იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში.

ბოლო ტურში წარმატებით ითამაშა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელის, ლაშა სალუქვაძის "რუბინმა", რომელმაც 2:0 დაამარცხა იაროსლავლის "შინიკი". სალუქვაძემ 90 წუთი დაჰყო მოედანზე და ის, რომ ყაზანელებმა საკუთარი კარის "მშრალად" შენახვა მოახერხეს, ლაშას დიდი დამსახურებაცაა.

რუსეთის ჩემპიონატის მთავარმა "ქართულმა" გუნდმა, ვლადიკავკაზის "ალანიამ" სიახლეების ფონზე უმასპინძლა ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, გასული სეზონის უეფას თასის გამარჯვებულ მოსკოვის ცსკა-ს. მთავარი სიახლე ის იყო, რომ სეზონის დასაწყისიდან ვლადიკავკაზელებს ზედიზედ მესამე მწვრთნელი გამოეცვალათ - ბახვა თედეევისა და ედგარ გესის შემდეგ "ალანიას" სათავეში ცნობილი ებრაელი სპეციალისტი იცხაკ შუმი ჩაუდგა. ეს მწვრთნელი თავის დროზე ისრაელის ნაკრებსაც ხელმძღვანელობდა და ჟირესის დანიშვნამდე საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატთა შორისაც განიხილებოდა. ცსკა-სთან მატჩი შუმისთვის სადებიუტო იყო და რა თქმა უნდა, ასეთ შეხვედრაში დამარცხება არავისთვის არის სასიამოვნო. მეორე მხრივ, წესით, რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს, "ალანიას" სერიოზული წინააღმდეგობა ვერ უნდა გაეწია ევროპული მასშტაბით ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესო გუნდისთვის, რომელსაც შარშან ტრიუმფალური სეზონი ჰქონდა, ხოლო წელს თავისი ვარსკვლავური შემადგენლობა კიდევ უფრო გააძლიერა. მაგრამ ერთია წინასამატჩო პროგნოზები, ტიტულები და ავტორიტეტი, ხოლო მეორე – უშუალოდ თამაში.

შუმმა მის გამგებლობაში მყოფი ექვსი ქართველი ლეგიონერიდან ძირითად შემადგენლობაში ორი გაამწესა – ბურდული და დარასელია. სწორედ მათ შეასრულეს მთავარი როლი შეხვედრაში. ეს უფრო ვიტალი დარასელიაზე ითქმის, რომელმაც ჯერ თავის პარ-



ვიტალი დარასელიამ "ცსკა"-ს გაუტანა.

ტნიორებს რამდენჯერმე შეუქმნა ხელსაყრელი სიტუაცია, მაგრამ ალანიელებმა "დარასას" საგოლე პასები ვერ გამოიყენეს. შემდეგ, რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ლეგიონერმა (რუსული პრესის შეფასებით) თავის თავზე აიღო თამაში და შეხვედრის 52-ე წუთზე, კარიდან დაახლოებით 16-18 მეტრში მყოფმა, უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა. სტუმრებმა ოთხ წუთში შეძლეს სტატუს ქვოს აღდგენა და მატჩი - 1:1 დასრულდა. ბოლო 25 წუთი, კიდევ ერთმა ჩვენმა ფეხბურთელმა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, 19 წლის ჯაბა კანკავამ ითამაშა, რომელსაც თანაგუნდელებთან ერთად ცსკა-ს საფინალო შტურმის მოგერიება მოუხდა. "24 საათი" ტელეფონით გაესაუბრა ქართველ საყრდენ ნახევარმცველს.

**- რამდენად კმაყოფილი ხარ ახალი მთავარი მწვრთნელით და როგორი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა იცხაკ შუმს ქართველ ლეგიონერებთან?**

- ეს მწვრთნელი სულ სამი დღეა, რაც გუნდში მოვიდა და მის შესაძლებლობებზე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება, ალბათ, ნაადრევია. ისე, პირველივე ვარჯიშებიდან ეტყობა, რომ გამოცდილი სპეციალისტია და თავისი საქმე კარგად იცის. ყოველ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისით, მას ვერც თედეევს და ვერც გესს ვერ შევადარებ. იცხაკ შუმი სულ სხვა, გაცილებით მაღალი დონეა. რაც შეეხება ახალი მწვრთნელის ჩვენთან, ქართველ ფეხბურთელებთან ურთიერთობას, პირველი შთაბეჭდილებით მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ შუმს განსაკუთრებით ბურდული და დარასელია მოეწონა. ამ ფეხბურთელებმა ცსკა-სთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს და ქულის მოპოვებაში გადამწყვეტი როლიც შეასრულეს. კვირკველიას კვლავ ფეხის ტრავმა აწუხებს და მისი უთამაშებლობის მიზეზიც ეს გახლავთ.

**- ცსკა-სთან თამაშამდე ბოლო დღეებში ფეხის ტკივილი გაწუხებდა და ძირითად შემადგენლობაში შენი არმოხვედრის მთავარი მიზეზი ეს ხომ არ იყო?**

- ტკივილები საზარდულის მიდამოში მართლაც მქონდა, მაგრამ ეს უფრო გადაღლილობით იყო გამოწვეული, ვიდრე თამაშის ან ვარჯიშის დროს მიღებული ტრავმით. ამის შესახებ შუმს ვაცნობე კიდეც. გუნდის ექიმმა საფუძვლიანი გამოკვლევა ჩამიტარა და აღმოჩნდა, რომ არანაირი დაზიანება არ მიმიღია. შესაბამისად, საგანაცხადო შემადგენლობაში მოვხვდი და მეორე ტაიმში შეცვლაზე ვითამაშე.

**- ცსკა დღეისთვის ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. რამდენად გაგიჭირდათ ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში?**

- ვერ ვიტყვი, რომ ამ შეხვედრაში უეფას თასის მფლობელებმა რაიმე განსაკუთრებული შემოგვთავაზეს. უფრო მეტიც – პირველი ტაიმი "ალანიას" სრული უპირატესობით წარიმართა და ოდნავ რომ გაგვმართლებოდა, შესვენებამდე გოლს აუცილებლად გავიტანდით. შეხვედრის მეორე ნახევარში ცსკა-მ ჯერ გაათანაბრა თამაში, ხოლო მატჩის მიწურულს უკვე თავად დაეუფლა უპირატესობას და ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გვიწევდა ზრუნვა. ყველა შემთხვევაში, ფრე ცსკა-სთან დადებითი შედეგია როგორც სატურნირო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

**- რამდენად კამყოფილი დარჩა ახალი მწვრთნელი ამ შედეგით?**

- მატჩის შემდეგ შუმი სულ მცირე ხნით ვნახეთ და თამაშის შეფასებისას ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა. დღეს დასვენება გვაქვს, ხოლო ხვალ ამ თამაშს გავარჩევთ და მწვრთნელიც თავის მოსაზრებას უფრო დაწვრილებით, ალბათ ხვალ გაგვაცნობს. ისე, უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს. მომდევნო მატჩს 13 ივლისს, რუსეთის თასზე ვატარებთ. ჩვენი მეტოქე მეორე ლიგელი "ჩიტაა".

ფორმულა 1

# „სილვერსტოუნმა" მშვიდობით ჩაიქროლა

*ლონდონი 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი გახდა. სრულად ბრიტანეთი სიხარულმა მოიცვა. მეორე დღეს, 7 ივლისს ლონდონს ტერაქტების სერიამ გადაუარა და ლონდონელებს დიდი მწუხარება მოუტანა. გუშინ "სილვერსტოუნის" ტრასამ სამეფო რბოლების მსოფლიო ჩემპიონატის მეთერთმეტე ეტაპს "დიდი ბრიტანეთის დიდ პრიზს" უმასპინძლა, სტარტამდე კი საჯინიბოებმა და მათმა მესაჭეებმა ტერაქტების შედეგად დაღუპულთ წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი. უფრო ადრე "დეილი ექსპრესის" ჟურნალისტმა ბობ მაკენზიმ სიტყვა შეასრულა და "სილვერსტოუნის" ტრასაზე დედიშობილამ საპატიო წრე დაარტყა.*

ზიზა ზურასაშვილი

რბოლამდე 10 წუთით ადრე ფორმულა 1-ის მრბოლებმა ლონდონში დაღუპულები გაიხსენეს და წუთით დადუმდნენ.

"მგონია, რომ ყველა მეფორმულეს სახელით გელაპარაკებით. სული შეგვძრა და დაგავმწუხრა ლონდონში მომხდარმა, - გულისტკივილს გვიზიარებს BAR-ის ინგლისელი მრბოლი ჯენსონ ბატონი. – დავტირი ყველა დაღუპულს და ვუთანაგრძნობ მათ ოჯახებს".

ვიდრე ჯენსონ ბატონი სამეფო რბოლათა გუნდებისა და მათი მრბოლელების სახელით მიუსამძიმრებდა დაღუპულებს, უსაფრთხოების სამსახურებმა მიმდებარე ტერიტორია ძაღლების დახმარებით საგულდაგულოდ დაათვალიერეს, "დეილი მირორის" ჟურნალისტი კი სილვერსტოუნზე მისულ ათიათასობით მოსეირეს სტრიკერად მოევლინა, რათა იქ მყოფთათვის მწუხარება დროებით მაინც გაექარვებინა. თუმცა ამის მიზეზი მაინც სხვა რამ – პირობა იყო. ეგაა, სარცხვენ ადგილზე ბოქლომი აეფარებინა, ხოლო შიშველი ტანი "მაკლარენ-მერსედესის" სიმბოლიკებით მოეხატა.

ერთი წლის წინათ ეს თავზეხელაღებული ჟურნალისტი, რომელიც სამეფო რბოლებზე კალმოსნობს, ყველას გასაგონად ისეთი რამ თქვა, რამაც გუშინდელ გაშიშვლებამდე მიიყვანა. საქმე ისაა, რომ შარშან დეილიექსპრესელმა პირობა დადო, თუკი "მაკლარენი" ერთ რბოლას მაინც მოიგებს, ავტოდრომზე შიშველი გავირბენო. მას შემდეგ, რაც "ბელგიის დიდი პრიზი" მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა მოიგო (29 აგვისტო, 2004 წელი) "მაკლარენისვე" ბოსმა რონ დენისმა მაკენზის დანაპირები შეახსენა: "უმოწყალოც არ ვარ, შიშვლად რბენა ვაიძულო. დე, ტრუსებში ირბინოსო".

მაკენზის არც უფიქრია პირობის დარღვევა. გაშიშვლდა და ტრასაზე ძუნძულსაც მოჰყვა.

"თავდაპირველად მეგონა, რომ პოლიციელები დამაკავებდნ-



ენ, მაგრამ მოხდა პირიქით. მამხნევებდნენ: მიდი, მიდიო", - სილვერსტოუნისთვის 36 წუთში შემორბენილი წრის შემდეგ აცხადებდა ბობ მაკენზი.

თავზეხელაღებულ "დეილი ექსპრესის" ჟურნალისტს შრომა დაუფასდა. გუშინდელი რბოლაც მაკლარენელის, ამ შემთხვევაში კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოიას გამარჯვებით დასრულდა. მონტოიას გამარჯვება იმადაცაა აღსანიშნავი, რომ წლეულს დიდი პრიზების მომგებთა ნუსხა კიდევ გაიზარდა. არადა შარშან ყველაფერი ერთფეროვნად, "ფერარელების" მიხაელ შუმახერისა და რუბენს ბარიკელოს ბატონობით მიმდინარეობდა, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით რენოელი იარნო ტრულის, მაკლარენელი რაიკონენისა და იმ ხანად უილიამსელი მონტოიას მიერ თითოჯერ მოგებულ ეტაპებს. წლეულს კი სეზონის შუაწელში სამეფო რბოლებს მეხუთე გამარჯვებული ჰყავს. გამარჯვებული, რომელმაც ახალი გუნდის რიგებში პირველად გამოიდო თავი. გუშინდელი რბოლა იმადაც გამოდგა საინტერესო, რომ ვერც ერთმა საჯინიბომ ვერ შეძლო "მაკლარენისა" და "რენოს" გასწრება. ადგილები სწორედ შესაბამისი თანმიმდევრობით განაწილდა.

**"დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი"**
**"სილვერსტოუნი".**
**ტრასის სიგრძე 5,141 კმ.**
**60 წრე**

**პირადი პირველობა**

1. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენ-მერსედესი")
2. ფერნანდო ალონსო ("რენო")
3. კიმი რაიკონენი ("მაკლარენ-მერსედესი")
4. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო")
5. ჯენსონ ბატონი (BAR)
6. მიხაელ შუმახერი ("ფერარი")
7. რუბენს ბარიკელო ("ფერარი")
8. რალფ შუმახერი ("ტოიოტა")
9. იარნო ტრული ("ტოიოტა")
10. ფელიპე მასა ("ზაუბერი") + 1 წრე
11. მარკ ვებერი ("BMW-უილიამსი") + 1 წრე
12. ნიკ ჰაიდფელდი ("BMW-უილიამსი") + 1 წრე
13. დევიდ კულჰარდი ("რედ ბული") + 1 წრე
14. ჟაკ ვილნევი ("ზაუბერი") + 1 წრე
15. კრისტიან კლიენი ("რედ ბული") + 1 წრე
16. ტაკუმა სატო (BAR) + 2 წრე
17. ტიაგო მონტეირო ("ჯორდანი") + 2
18. კრისტიან ალბერსი ("მინარდი") + 3 წრე
19. პატრიკ ფრიზახერი ("მინარდი") + 4 წრე

**საუკეთესო წრე:** კიმი რაიკონენი 1:20.502

**რბოლას გამოეთიშა:**
ნარაიან კარტიკეიანი ("ჯორდანი") + 50

**საერთო ჩათვლა**

1. ფერნანდო ალონსო ("რენო") 77
2. კიმი რაიკონენი ("მაკლარენ-მერსედესი") 51
3. მიხაელ შუმახერი ("ფერარი") 43
4. რუბენს ბარიკელო ("ფერარი") 31
4. იარნო ტრული ("ტოიოტა") 31
6. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენ-მერსედესი") 26
7. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") 25
7. ნიკ ჰაიდფელდი ("BMW-უილიამსი") 25
9. რალფ შუმახერი ("ტოიოტა") 23
10. მარკ ვებერი ("BMW-უილიამსი") 22
11. დევიდ კულჰარდი ("რედ ბული") 17
12. ჯენსონ ბატონი (BAR) 9
13. ფელიპე მასა ("ზაუბერი") 7
14. ტიაგო მონტეირო ("ჯორდანი") 6
14. ალექს ვურცი ("მაკლარენ-მერსედესი") 6
14. ჟაკ ვილნევი ("ზაუბერი") 6
17. ნარაიან კარტიკეიანი ("ჯორდანი") 5
18. კრისტიან ალბერსი ("მინარდი") 4
18. პედრო დე ლა როსა ("მაკლარენ-მერსედესი") 4
18. კრისტიან კლიენი ("რედ ბული") 4
21. პატრიკ ფრიზახერი ("მინარდი") 3
22. ვიტანტონიო ლუცი ("რედ ბული") 1

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

1. "რენო" 102
2. "მაკლარენ-მერსედესი" 87
3. "ფერარი" 74
4. "ტოიოტა" 54
5. "BMW-უილიამსი" 47
6. "რედ ბული" 22
7. "ზაუბერი" 13
8. "ჯორდანი" 11
9. BAR 9
10. "მინარდი" 7

ICRC

## წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ)

აცხადებს ვაკანსიას **Field Officer**-ის თანამდებობაზე. კონტრაქტი დაიდება ექვსი თვის ვადით, (შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით).

ოფიცერი იმუშავებს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სექტორში.

აგრეთვე კოორდინირებას გაუწევს წჯსკ-ს სამედიცინო პროგრამებს საქართველოში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით.

**ოფიცერს დაევალება:**

გაუწიოს დახმარება წჯსკ-ს თანამშრომლებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

დაეხმაროს ეკონომიური უსაფრთხოების კოორდინატორს წერილობითი და ზეპირი თარგმანის დროს.

უზრუნველყოს კონტაქტები ეკონომიური უსაფრთხოების და ჯანდაცვის სექტორში მომუშავე ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიოზაციების წარმომადგენლებთან.

დაესწროს ყველა აუცილებელ შეხვედრას.

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ტესტსა და გასაუბრებას.

**პროფესიული გამოცდილება**

უმაღლესი განათლება (სამედიცინო ან სოციალური განხრით).
- შესაბამის სფეროში მუშაობის სამწლიანი გამოცდილება.
ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა.
- კომპიუტერული უნარჩვევები

**განცხადებების მიღების პროცედურა**

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, წარმოადგინონ დეტალური ავტობიოგრაფია (CV), პირადობის მოწმობის და უმარლესი განათლების დიპლომის ასლი შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
კეიდიას ქ. N4, ადმინისტრაციაში.

განაცხადის მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 15 ივლისი, პარასკევი.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას გულისხმობს, რომ მხოლოდ შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას.

## ყურადღება!
## არქიტექტორული კონკურსი

ფონდი "ხელოვნების უბანი - სამუზეუმო ქუჩა" აცხადებს არქიტექტორულ კონკურსს გუდიაშვილის ქუჩისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გენერალური გეგმის და სამუზეუმო ქუჩა/ხელოვნების უბნის კონცეფციის შემუშავებაზე.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 6 პრემია:
ერთი პირველი პრემია 5.000 აშშ დოლარი
ერთი მეორე პრემია 3.000 აშშ დოლარი
ერთი მესამე პრემია 2.000 აშშ დოლარი
სამი წამახალისებელი პრემია 500 აშშ დოლარი

საკონკურსო მასალები გაიცემა 2005 წლის 17 ივლისამდე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურიდან.

**მისამართი: ალმაშენებლის გამზირი 89/24, II სართული.**
**ტელ. 92-35-73, 877 570 602**

# საზოგადოებრივი მაუწყებლობა საზოგადოებისთვის

### ლაშა ბაქრაძის მხარდამჭერთა აქცია

ანა კორძაია-სამადაშვილი

მას მერე, რაც რუსთაველის გამზირის გადაკეტვა დაიწყეს, ქალაქის მთავარ ქუჩაზე ერთხელაც არ გამივლია – ხან წვიმს, ხან ჯოჯოხეთურად ცხელა, და ვერც იმას დავიბრალებ, რომ ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს: დიდი ხანია, მაინცდამაინც შთამბეჭდავი არაფერი მომხდარა და კიდევ ერთი საშუალოდ უბადრუკი ღონისძიების გამო არც ლესელიძის ქუჩაზე საცობში გაჭედვა და არც დაუდგენელი ხარისხის მუსიკის თანხლებით ქუჩის თელვა არ მეხალისება. მაგრამ გუშინ დიდი შემართებით გავეშურე რუსთაველზე, ეროვნული გალერეის სიახლოვეს, სადაც ლაშა ბაქრაძის კანდიდატურის მხარდამჭერთა მხიარული აქცია გაიმართა და რომელიც თავად ბატონ ლაშას მხიარული საერთო სალმით დაიწყო: "სალამი და პატივისცემა, ქალბატონებო და ბატონებო!"


ოლეგ ტიმჩენკო ასრულებს ლაშა ბაქრაძის პორტრეტს.

ჯერაც ცისფერი გალერეის კიბესთან შეკრებილთა დიდ ნაწილს ჩვენი საზოგადოება შესანიშნავად იცნობს: აქ იყვნენ, ერთი დამსწრე ქალბატონის თქმით, "ახალგაზრდა კონცეპტუალისტები" – მხატვრები ოლეგ ტიმჩენკო, ილია ზაუტაშვილი, ნიკო ცეცხლაძე, ნიკო ლომაშვილი, ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილი, დათო მაჭავარიანი, იგივე "კაკადუ" და მრავალი სხვა, რომელთა სრულად ჩამოთვლით თავს არ შევაწყენთ და დარწმუნებული ვარ, ისინიც არ გამინაწყენდებიან. მოგვიანებით აქციას მამუკა ცეცხლაძეც შეუერთდა და თავისი წვლილი შეიტანა დიდი ტილოს შექმნაში, რომლის ცენტრალური ფიგურაც ოლეგ ტიმჩენკოს მიერ იქვე, გამვლელთა თანდასწრებით შექმნილი ლაშა ბაქრაძის პორტრეტი გახლავთ.

თუმცა, ძირითადი მონაწილეები მაინც ახალგაზრდა მხატვრები იყვნენ, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, რომლებსაც მკერდსა და ზურგს ფერადი ტრანსპარანტები უმშვენებდათ, იმისვე მაუწყებელი, რასაც რუსთაველზე მოსეირნე ხალხს თავად გალერეის კედლებზე გაკრული პლაკატები ატყობინებდა: "ლაშა ბაქრაძე – მიუკერძოებელი და ხარისხიანი საზოგადოებრივი მაუწყებლობის დირექტორი!"

ნინო გოგინაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, თავის არჩევანს ასე განმარტავს: "პირადად მე, სხვა ყველაფერი რომ არც გავითვალისწინო, ლაშა არსებულ კანდიდატთაგან ყველაზე მისაღებად მიმაჩნია". მისი კოლეგის, ვაჟიკო ჩაჩხიანის თქმით, ლაშა ბაქრაძე თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანია და ნამდვილად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ხარისხიანი რამ შექმნას: "თუმცა," დასძინა მხატვარმა, "თანამედროვე ხელოვნება შეიძლება ყველასთვის საინტერესო არ იყოს. მთავარია, რომ ლაშა გააკეთებს იმას, რაც ხარისხიანია, თანამედროვე და გამჭვირვალე".

უფროსი თაობის ხელოვანებიც ერთსულოვანნი იყვნენ, თუმცა ბევრი არ ულაპარაკიათ - თავიანთ პოზიციას საქმით წარმოაჩენდნენ. ნიკო ლომაშვილმა ამიხსნა, რომ თუ ლაშას ღირსებების ჩამოთვლაზე მიდგება საქმე, მთელი დღის დაკარგვა მოუწევს: "მაშინ მიტინგი უნდა მოვაწყო". მიტინგის გამართვას მხატვრებმა კვლავ თავიანთი საქმის კეთება ამჯობინეს და რუსთაველზე მრავალი ფერადი ტილო თუ ქაღალდის გრაგნილი შეიქმნა: "მრავალფეროვანი საზოგადოებრივი TV საზოგადოებას".

ცხადია, აქციაში მხოლოდ ხელოვანები არ იღებდნენ მონაწილეობას. როგორც ჩემი კოლეგები იტყვიან ხოლმე, "სახეზე იყვნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორის ცნობილი სახეები და უბრალო ადამიანები" – თუ აქციის მონაწილეთა მოლოდინი გამართლდა, მსგავს სიტყვათშეთანხმებებს საზოგადოებრივი ტელევიზიისა თუ რადიოეთერიდან ნამდვილად ვეღარ გავიგონებთ. საერთოდ, გუშინდელი თავყრილობის ყველა მონაწილე თავიანთ რჩეულ ლაშა ბაქრაძეზე დიდ იმედებს ამყარებს. ერთობლივი აზრი კულტუროლოგმა სალომე ასათიანმა ჩამოაყალიბა: "ლაშას კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, რომ ის პრინციპული ადამიანია, შეძლებს ბალანსი დაიცვას ამ მართლაც მნიშვნელოვანი მისიის შესრულების დროს. მე ვიცი მისი ხედვა და კონცეფცია საზოგადოებრივ მაუწყებლობასთან დაკავშირებით და ვთვლი, რომ ტრაფარეტული განსაზღვრებების ნაცვლად ის მართლაც სიღრმისეულად უდგება ამ საქმეს".

თავად ბატონმა ლაშამ ამ აქციის გამართვის მიზანი ამგვარად განგვიმარტა: "მინდა, რომ საზოგადოებამ ინტერესი გამოიჩინოს იმ საკითხების მიმართ, რომლებიც საზოგადოებას ეხება, რათა მათ, ვისაც ამ საკითხების – ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიოს შემდგომი ბედის საკითხის გადაწყვეტა მოუწევთ, იცოდნენ, რომ მათ უკან საზოგადოება დგას".

თუ გუშინდელი აქციითაც ვიმსჯელებთ, ეს ძალიან სასიამოვნო საზოგადოებაა.

**P.S.** როდესაც ამ პატარა ამბის წერა დავასრულე, მოკლე ტექსტური შეტყობინება მომივიდა – გურამ წიბახაშვილის სიტყვები: "ლაშა თუ აირჩიეს, დავიჯერებ, რომ რევოლუცია მოხდა". ამ სიტყვებს კომენტარს აღარ დავურთავ, ალბათ ისედაც მიხვდებოდით: მიუკერძოებელი ნამდვილად არ ვარ და გუშინდელი დღე რუსთაველის გადაკეტილ გამზირზე მხოლოდ ჟურნალისტის სტატუსით არ გამიტარებია.

## რამაზ იოსელიანი: "არ გიხარიათ გორის სცენაზე რომ ვდგავარ"?



*გორის გიორგი ერისთავის სახელობის აკადემიური თეატრი ბოლო პერიოდში ადგილობრივი გაზეთის "თრიალეთის" ჟურნალისტების ინტერესს იწვევს. თეატრს ჭერი ენგრევა, მაგრამ კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა. თეატრის ხელმძღვანელობა ამას გუბერნატორ მიხეილ ქარელის დამსახურებად მიიჩნევს. თეატრალურმა გილდიამ, რომელიც სწორედ ამ თეატრში დაფუძნდა, მეცენატობისთვის მიხეილ ქარელს "ოქროს აფიშაც" უბოძა.*

თეა თედლიაშვილი

6 ივლისს გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რამაზ იოსელიანმა გორელი საზოგადოება შეკრიბა და გორის თეატრის ავკარგიანობაზე ესაუბრა. შეხვედრას თითქმის არც ერთი უფროსი თაობის მსახიობი არ ესწრებოდა.

"რაც მე მოვედი, თეატრში უამრავი რამ გაკეთდა. შეიღება თეატრი, გაკეთდა მცირე დარბაზი. არ შეიძლება ხელაღებით ვთქვათ, რომ არაფერი კეთდება და თანხები უმიზნოდ იხარჯება. 15 წლის მანძილზე გორის თეატრში მხოლოდ 18 პრემიერა დაიდგა. ჩვენ იმაზე მეტი სპექტაკლის ჩვენება შევძელით, რაც ამდენი ხნის მანძილზე ერთად. გორის თეატრის სახურავი რომ ინგრევა, ეს ტერაქტის ბრალია. რაც შეეხება დასის გაშვებას, მე არ ვაპირებ ამას, მაგრამ დასს გაახალგაზრდავება სჭირდება და ამიტომ მინდა თბილისიდან ჩემი სტუდენტების ჩამოყვანა"- განაცხადა იოსელიანმა.

მსახიობები მიიჩნევენ, რომ თეატრში თბილისელი მსახიობების ჩამოსვლა მათ საქმიანობას ხელს შეუშლის. ეს განსაკუთრებით საპენსიო ასაკის მსაახიობებს აწუხებთ; ისინი ვარაუდობენ, რომ დასის ასეთი სახით გადახალისება მათ უმუშავრად დარჩენას გამოიწვევს.

შეხვედრაზე რამაზ იოსელიანს სერიოზული მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ, მას გორელი საზოგადოება ვერ პატიობს ქარელისთვის მეცენატის სახელის "მინიჭებას".

"მეცენატი ნიშნავს ადამიანს, რომელიც საკუთარი სახსრებით ეხმარება ვიღაცას და რაღაცას. ქარელმა ბიუჯეტიდან თანხა გადმოგირიცხათ და ეს მეცენატობაა" - განაცხადა შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ შალვა ტლაშაძემ.

"ქარელმა აქ ხელფასი დატოვა. თქვენ მე მომეცით ამდენივე თანხა და სამ "ოქროს აფიშას" მოგცემთ" - განაცხადა იოსელიანმა.

საქართველოში ჩემნაირი მსახიობი ათიც არ არის. მეც ხომ თბილისიდან ჩამოსული ვარ. რა არ გეამაყებათ, რომ თქვენი თეატრის სცენაზე ჩემნაირი მსახიობი დგას!?" - გაიოცა რამაზ იოსელიანმა.

"თქვენ არ გაქვთ უფლება გორელი მსახიბების უნიჭობაზე ისაუროთ. არც არავის უმუშევრად დატოვების უფლება გაქვთ. პენსიონერი მსახიობები გარეთ ვერ გავლენ და იქ ვერ იმუშავებენ, აქ საუბარი არ არის მხოლოდ ხელფასზე, მსახიობების თეატრიდან გაყრა მათთვის სიკვდილია. თქვენ არ ხართ ის ადამიანი, ვინც გორის თეატრის დასს მოინელებს" - ასეთი სიტყვებით დატოვა დარბაზი მწერალმა და ჟურნალისტმა ოლია ბრაგვაძემ.

"ჩვენ როცა აქ მოვედით, უფროსი თაობის წარმომადგენელი არავინ წასულა, ახალი თაობის მოყვანისთვის ძველი თაობის გაშვება რა საჭიროა. ამბობთ, რომ არავის აგდებთ, მაგრამ როლს რომ არ მისცემთ, იძულებული გახდება და თვითონ წავა" - განაცხადა მსახიობმა ნარგიზა სალუქაშვილმა.

რამაზ იოსელიანი მალე ქასთინგის ჩატარებას აპირებს და მსახიობებს ასე შეარჩევს, პენსიონერი მსახიობები კი ქასთინგში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

# საქართველოში ჯაზიც არაა პოლიტიკისგან თავისუფალი

### მუსიკა ქვეყნის საგარეო იმიჯის სამსახურში

ვერა ნეფარიძე

*საქართველოში ამერიკელი ჯორჯების ცეკვა აღარავის უკვირს. მით უმეტეს, აბანოთუბანში მომხდარის შემდეგ ნაკლებად გასაოცარია რესტორანში, "შალახოზე", თემურ ჭყონიასთან დუეტში აცეკვებული ჯორჯ ბენსონი. ამ ორ ფაქტს, ალბათ, იმაზე მეტი საერთო აქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს; და რომ არა აცეკვებული პრეზიდენტი, შესაძლოა ბენსონს ვერც ამჯერად "გაერისკა" მსოფლიოს ამ ნაწილში სტუმრობა.*


პრესკონფერენციაზე.

ჯაზ-ფესტივალისთვის პოლიტიკური დატვირთვის მინიჭება ჩემი გამონაგონი სულაც არ არის. ამის შესახებ ღონისძიების ორგანიზატორებმა თავად ისაუბრეს საგანგებოდ ფესტივალის შესაფასებლად გამართულ პრესკონფერენციაზე. სწორედ აქ გაახმაურეს ისიც, რომ ბენსონს წყნეთში გამართულ წვეულებაზე უტირია კიდეც და "შალახოც" უცეკვია. რაც შეეხება პოლიტიკას, ამის შესახებ მიშა გიორგაძემ თქვა: "ფესტივალი დადებით პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს და წლიდან წლამდე ეს იზრდება. საქართველოს პრეზიდენტი ხშირად ამბობს, რომ საქართველოს სჭირდება პრომოუშენი. ამ სახელებს, ჯაზფესტივალზე რომ ჩამოდიან, მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააქვთ საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ". როგორც ჩანს, ეს მოსაზრება გარკვეულწილად მართალიცაა. ამის დასადასტურებლად ბობი კოლომბის მაგალითიც გამოდგება - ანუ, რამდენად იმოქმედა მასზე კრის ბოტის (რომელიც თურმე დღემდე აღფრთოვანებული საუბრობს საქართველოს შესახებ) შთაბეჭდილებებმა. ერთ-ერთ ვახშამზე ბენსონსა და მისი ტურნეს მენეჯერსაც უთქვამთ, ერთი სული გვაქვს ლოს ანჯელესში როდის ჩავალთ, რომ ვუამბოთ ჩვენს ახლობლებს ეს ყველაფერი, რაც ფესტივალზე ხდებოდაო. ჯაზ-ფესტივალის მხარდაჭერით საქართველოს სასურველი საგარეო იმიჯისთვის ზრუნვას მნიშვნელოვან მისიად აღიქვამენ "კოკა კოლას" ხელმძღვანელები. კომპანიის წარმომადგენელმა გოგა რობაქიძემაც აღნიშნა: "ფესტივალის მხარდაჭერა არ იყო მხოლოდ "კოკა კოლას" წარდგენა. გვინდა, მივიღოთ მონაწილეობა, რათა საქართველო ჩადგეს იმ ქვეყნების რიგში, სადაც ინვესტიციების ჩადება უსაფრთხოა". ალბათ ფესტივალისთვის ამგვარი დატვირთვის მინიჭების დამსახურებაა ისიც, რომ როგორც "ისთერნ პრომოუშენის" ხელმძღვანელებმა განაცხადეს, წლევანდელ ღონისძიებას იმდენი სახელმწიფო უწყების მხარდაჭერა ჰქონდა, როგორც არასდროს.

პოლიტიკისა და ჯაზის თემას ბობი კოლომბიც შეეხო, როდესაც საქართველოს შესახებ შექმნილი შთაბეჭდილებების შესახებ საუბრობდა: "ეს ახალი დემოკრატიული ქვეყანაა. თქვენი შესაძლებლობები უსაზღვროა. გაოცებული დავრჩი, როდესაც ვნახე, რომ საქართველოში ამდენი ჯაზზე შეყვარებული ადამიანია და რაც მთავარია, აუდიტორიის ძირითადი ნაწილი ახალგაზრდულია". ყველაზე სასიამოვნო, ალბათ, მაინც ის არის, რომ მუსიკალური ბიზნესის ამერიკელი ექსპერტი თბილისში ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ კონცერტს დაესწრო. ბობი კოლომბის თქმით, ჯონი სკოფილდის თბილისის კონცერტის მსგავს მუსიკალურ საღამოს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ დასწრებია. სტუმარი იმითაც გაკვირვებული დარჩა, რომ თბილისში ამდენმა ადამიანმა იცოდა ჯაზის ავტორიტეტების სახელები და მათ შესახებ გარკვეული ინფორმაცია ჰქონდათ: "ისეთი შეგრძნება მაქვს, - ფერმერებს რომ ვკითხო, მათაც ეცოდინებათ ვინ იყო ჯაკო პასტორიუსი. ნიუ იორკში ქუჩაში რომ იკითხოთ, შეიძლება თითო-ოროლა ადამიანი იპოვოთ ასეთი". იმედია, ბობი კოლომბის მსგავსად ფესტივალის სხვა სტუმრებიც დარწმუნდნენ, რომ ჩვენთან კარგი მუსიკოსები გაცილებით ადრე გაიცნეს, ვიდრე ამერიკულ დემოკრატიას გაუსინჯავდნენ გემოს... თბილისში მიღებული შთაბეჭდილებები კი მხოლოდ შთაბეჭდილებებად არ დარჩება. იგივე კოლომბი შეგვპირდა, რომ სტინგთან და ჰერბი ჰენკოკთან "გვიშუამდგომლებს". ასეთი დახმარება "ისთერნ პრომოუშენს" ნამდვილად არ აწყენს, რადგან გაისად საიუბილეო, რიგით მეათე ჯაზ-ფესტივალს ამ მუსიკოსების მონაწილეობა მეტად დაამშვენებს.

# რუსული პროვინციული სკოლიდან სოცრეალიზმამდე

### ეროვნულმა მუზეუმმა სასწრაფოდ სარესტავრაციო კოლექცია გამოფინა

*ხელოვნების მუზეუმში წელს ერთ-ერთი ბოლო საზაფხულო ექსპოზიცია გაიხსნა. ეროვნულმა მუზეუმმა ხელოვნების მუზეუმის ფონდებიდან რუსული ფერწერის კოლექცია გვაჩვენა. ექსპოზიციაზე ფართო საოზგადოება თავად დარწმუნდება, რამდენად აუცილებელია ამ ნამუშევრებისთვის რესტავრაცია.*

ვერა ნეფარიძე

ექსპოზიციაზე რუსული ფერწერული სკოლა წარმოდგენილია მე-18 საუკუნიდან მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე დათარიღებული ნამუშევრებით. კოლექცია მოიცავს თითქმის ყველა მიმდინარეობას: პროვინციულ სკოლას, რუსულ ბაროკოსა და როკოკოს, რუსულ აკადემიურ სკოლას, რუსულ მოდერნს, ავანგარდსა და სოცრეალიზმს. მნიშვნელოვანია, რომ კოლექციის ძირითადი ნაწილი აქამდე არ ყოფილა ექსპონირებული.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის რუსული და ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების განყოფილებების ფონდებში ინახება ალ. შევჩენკოს ფერწერული ნამუშევრების ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექცია; როკოტოვის, ლევიცკის, აივაზოვსკის, ბრიულოვის, კანდინსკის, შჩედრინის, ლაგორიოს, სეროვის, კოროვინის, მილმანის, სოკოლოვისა და სხვათა ტილოები. განსაკუთრებული მხატვრული ღირებულების ფერწერული ნამუშევრები მეტად დაზიანებულია და სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებს, რიგითი დამთვალიერებელიც იოლად შენიშნავს. კოლექციის ექსპონირებით გამოფენის ორგანიზატორების (საქართველოს ეროვნული მუზეუმი და "ღია საზოგადოება - საქართველო") სურვილი იყო, ეჩვენებინათ, თუ რამდენად აუცილებელია მათი რესტავრაციისთვის დამატებითი თანხების მოძიება. "საქართველოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს განსაკუთრებული მოფრთხილება და ყურადღება სჭირდება. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის კოლექციებიც, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნების სახვითი ხელოვნების ძეგლებისგან შედგება", - აღნიშნავენ ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლები.

გამოფენის გახსნაზე რუსული ფერწერული ტილოების გარდა ერთ-ერთი განხორციელებული პროექტის შედეგებიც წარმოადგინეს. "ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა რუსული და ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების განყოფილების ფონდებში დაცული ფერწერული ნამუშევრების აღრიცხვის თანამედროვე მეთოდზე გადაყვანა. ამ მიზნით ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საინიციატივო ჯგუფი 2003 წლიდან (ნანა შერვაშიძე, ნანა გოგელია, დალი გაბუნია, ნონა ხარატიშვილი, ზინა ნიკოლაევა) მუშაობდა. ამგვარად ექსპონანტთა პასპორტირების ძველებული მეთოდი თანამედროვე, სრულყოფილი კომპიუტერული მონაცემთა ბაზით შეიცვალა.

# "რაკუ" ქართულად ანუ "წერილები" მომავლიდან

### გალერეა TMS-ში პაპუნა პაპასქირის პერსონალური გამოფენა გაიხსნა

ლია თოფურია

ტრადიციისამებრ, ჯერ მოვლენის მთავარ გმირს გაგაცნობთ.

დაიბადა სოხუმში 1976 წელს. მშობლიური სახლი ავადმოსაგონარი მოვლენების სულ ბოლო წუთს დატოვა. თბილისში "ნიკოლაძეში" სწავლობდა, ფერწერის ფაკულტეტზე, შემდეგ - აკადემიაში, კერამიკის ფაკულტეტზე. ამჟამად ასპირანტურაშია. მთელი ოჯახი სამედიცინო აკადემიის ყოფილ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე და 6 თვის შვილი.


პაპუნა პაპასკირი.

1997 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში:

1997 - ჯგუფური გამოფენა "მიმართულება ზღვისკენ", ქარვასლა;

1998 - ჯგუფური გამოფენა "კუნსტ ჰალე ბრიგჰერტი", შვედეთი;

1999 - სოხუმელი მხატვრების ჯგუფური გამოფენა "ულტრამარინი", TMS;

2000 - საქართველოს I სიმპოზიუმი, კერამიკა;

2000 - ჯგუფური გამოფენა, გალერეა "ორიენტი";

2001 - პერსონალური გამოფენა, "ძველი გალერეა";

2005 - ჯგუფური გამოფენა, გალერეა "ცენტრ პოინტი";

2005 - პერსონალური გამოფენა ამერიკის საელჩოში;

ავსტრიაში მხატვრის ნამუშევრები წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, გამოფენა-აუქციონზე.

პირველ გამოფენებზე წარმოდგენილი იყო მისი ფერწერული (აბსტრაქცია) ნამუშევრები.

სამიოდე წლის წინ კი... მეუღლე ნინო კალანდია (ასევე, მხატვარი-კერამიკოსი) ლექსებს წერს ტანკას სტილში, რომლებიც პაპუნამ კერამიკულ ფილებზე გადაიტანა. ეს წარწერებიანი ფილები მას, უბრალოდ, საჩუქრებად უნდოდა. არადა, მართლა ლამაზი გამოვიდა.

აღმოაჩინა, რომ მეთლახის ფილები რამდენიმეჯერ (10-15) გამოწვას უძლებს და, ამდენად, საშუალებას იძლევა, თითო ფენა, ანუ თითო ფერი ცალ-ცალკე "დასვა". ხშირად ნამუშევრების დიდ ნაწილს უვარგისად მიიჩნევს. როგორც ამბობს, 10-15-დან 2-3 ნამუშევარი "გამოსდის". ძალიან რთული გზით სიარული აირჩია - ცდილობს, ნამუშევარი მაქსიმალურად გაამარტივოს.

მრავალჯერადი გამოწვის შედეგად (დაახლოებით, მინანქრის დამზადების ტექნოლოგიაა და ძალიან შრომატევადია), მიიღწევა ის განსაკუთრებული ფერები და არაჩვეულებრივად ცოცხალი, ორიგინალური ნამუშევრები, რომლებიც ხელოვნებით დაინტერესებულ საზოგადოებას მხატვარმა TMS-ში წარმოუდგინა.

კერამიკაში თავის მასწავლებლებად გია იაშვილს, ალდე კაკაბაძეს და რეზო იაშვილს მიიჩნევს. გარდა ტრადიციული მეთოდისა (ე.წ. "გაშავება" და აღდგენა), იყენებს "რაკუს" - იაპონურ ტექნოლოგიას. აი, ეს რას ნიშნავს: ცხელი ნამუშევარი გამოაქვთ ღუმელიდან, როდესაც ჭიქურსაც და კეცსაც ფორები გახსნილი აქვს, აგდებენ ნახერხით და წიწვოვანი მცენარეებით სავსე სპეციალურ ქვაბში და ჰერმეტულად ხურავენ, რომ კვამლი არ გამოვიდეს. შიგნით ყველაფერი ერთად იწვის, და კვამლი თიხას გარკვეულ ფერს აძლევს, ზოგჯერ კი სრულიად მოულოდნელ ეფექტს ქმნის.

ძალიან მოსწონდა შუმერული იეროგლიფები, ნიშნები. შემდეგ ეს ნიშნები საკუთარი ფანტაზიით განავრცო... და ასე შეიქმნა "წერილები". სერია "ხე და ღრუბელი" ავტორისთვის მედიტაციის თემაა.

გეგმები დიდი აქვს. ერთ-ერთი გამიმხილა: ლიტვაში, კერამიკის დიდი სკოლის მქონე ქვეყანაში სურს ცოტა ხნით წასვლა გაცვლითი პროგრამით. სხვისი გამოცდილების გაზიარება ზედმეტი არასდროს ყოფილა, მით უმეტეს, ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედისათვის. წინ დიდი გზაა გასავლელი.

# "შარდენ-ბარის" ტრადიცია

მოდა თამუნა ინგოროყვასგან

8 ივლისს "შარდენ-ბარის" დაბადების დღე აღნიშნეს. საიუბილეო საღამო: მოდის ჩვენება, კონცერტი და ფურშეტი, მოწვეულმა საზოგადოებამ (ძირითადად, ადგილობრივი შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები) მასპინძლის, ბარის მეპატრონის, ნინო იოსელიანის გარეშე ჩაიარა. ჩვენებას არ ესწრებოდა წარმოდგენილი შემოდგომა-ზამთრის კოლექციის ავტორი თამუნა ინგოროყვაც. მაგრამ ორგანიზატორებისთვის ტრადიციის შენარჩუნება იყო მთავარი, რადგანაც ზუსტად ერთი წლის წინათ ბარი სწორედ ინგოროყვას მოდის ჩვენებით გაიხსნა.

დიზაინერის ეს კოლექცია თბილისში პირველად აჩვენეს. კოლექცია თამუნა ინგოროყვამ რამდენიმე თვის წინათ ბერლინში წარადგინა, რადგან ის საგანგებოდ გერმანიაში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო ღონისძიებისთვის დამზადდა. შემოდგომა-ზამთარი 2005-2006 შარდენზე სააგენტო "ნატალის" გამოცდილმა და შედარებით ახალგაზრდა მოდელებმა აჩვენეს. სამოსი - მრავალფეროვანი; კოლექცია - შარვლის გარეშე; მასალა - აბრეშუმი, შიფონი, - ძირითადად ამგვარია დიზაინერის აქცენტები. და კიდევ: კოლექციაში მხოლოდ თამუნას მიერ შექმნილი ფეხსაცმელებია გამოყენებული. კოლექციაში უხვადაა აქსესუარებიც.






*თამუნა ინგოროყვას კოლექცია ბერლინის შემდეგ თბილისელებსაც აჩვენეს.*

ღონისძიებისთვის საგანგებოდ მოემზადნენ ორგანიზატორები, რომლებიც ბარის მეპატრონის ნდობით აღჭურვილი ადამიანები არიან: ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები. საგანგებოდ ამ საღამოსთვის, გარემოს გასალამაზებლად აქსესუარები ესპანეთიდან ჩამოიტანეს.

"შარდენ-ბარის" ერთი წლისთავზე საპატიო სტუმრებს შორის ქართული მოდის სამყაროს (მოდელები, დიზაინერები) გარდა, ადგილობრივი მუსიკალური და თეატრალური სცენის წარმომადგენლებიც იყვნენ. დაახლოებით ოცწუთიანი ჩვენების დასარულს მომღერლებმა მასპინძლებისადმი განსაკუთრებული პატივისცემა საკუთარი სიმღერით დაამტკიცეს; ორგანიზატორები კი მათ ხუთსართულიანი ტორტით გაუმასპინძლდნენ.


## სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

London School of Commerce (LSC) ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა STM (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მისანიჭებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში.

University of sunderland (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად.

UEL (გაერთიანებული სამეფო) და university of Wales Newport (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტებთან ერთად.

მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2005 წლის 3 ოქტომბერი.

MBA

MSc

£3950

BA (Hons) მთლიანი ღირებულება £ 5950

£ 1000

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69

E-mail: LSCgeorgia@hotmail.com

www.LSCLondon.co.uk



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:

98-57-81



DEZA DIREKTION FÜR ENTWICKLUNG UND ZUSAMMENARBEIT
DDC DIRECTION DU DÉVELOPPEMENT ET DE LA COOPÉRATION
DSC DIREZIONE DELLO SVILUPPO E DELLA COOPERAZIONE
SDC SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION
COSUDE AGENCIA SUIZA PARA EL DESARROLLO Y LA COOPERACIÓN

Staatssekretariat für Wirtschaft
Secrétariat d'Etat à l'économie
Segretariato di Stato dell'economia
State Secretariat for Economic Affairs
seco

SWISS REGIONAL COOPERATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS
Embassy of Switzerland

## განცხადება

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია".**

კურსი ჩატარდება 2005 წლის 27 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე ქ. ბაქოში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 16 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**http://hei.unige.ch/psio/outreachactivities/capacitybuilding.html**

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს ახიმ ვენმანს ელექტრონული ფოსტით: cabirapplications@yahoo.com






შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------------------------------------

მისამართი ----------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

დაბადების თარიღი ----------------------------------------

სკოლა ----------------------------------------

კლასი ----------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა








სახელი
გვარი
ასაკი
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
8 თქვენი ინტერესები
9 თქვენი ჰობი
3 პროფესია :
10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეწამყვანი ?
4
11
5
12
6
13
7



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი